საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბოლოდროინდელი სიფცეა, ფაფალებით და ჭიანებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 11 მარტი. 2022 წ. №36 (9374) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

სანამ იქნება პუტინის კრემლი, არ შეაშრება მსოფლიოს ცრემლი!



„რუსი ოლიგარქების აქტივები კი არ გავყინოთ, გავყიდოთ და უკრაინას დავეხმაროთ“ 5

მკვლელების ბუნაგი 6

დანამაულის პრეზუმფცია

ჰააგის სასამართლო პუტინის აგრესიას კოსმოსიდან აკვირდება!.. 5

მატრაბაზი ლავროვის ანტალიური შოუ

დინა მირცხულავა: თუ ომი არ მინდა – რუსეთუმე ვარ?!

თუ ომი არ მინდა, თუ ყველა დედა მეცოდება, აქეთაც და იქითაც, ვისაც შვილი უკვდება...

იმიტომ რომ თვითონ ვარ შვილმკვდარი დედის შვილი და ნაცნობი წვაა ჩემთვის.

„იქით“ კი განსაკუთრებით ისინი მეცოდებიან, იარაღი ძალით რომ ააღებინეს ხელში და ეს სისხლისღვრა აიძულეს.

ზელენსკიზე მეტად თუ ის პატარა ბიჭი არის ჩემთვის გმირი, აფხაზეთის ერთ-ერთ სოფელში რომ ტანკს შეუვარდა (ნაღმით ხელში), რომელიც სოფლის სტადიონზე თუ სკოლის ეზოში პატარა გოგონებს დასდევდა გასაჟუჟად.

თუ ვფიქრობ, რომ დიახ, ქვეყნის მეთაურს უნდა უყვარდეს თავისი ქვეყანა.

დიახ, უნდა იბრძოდეს თავისი ქვეყნის თავისუფლებისთვის.

დიახ, უნდა იყოს მაგალითი მისი ხალხისთვის და ამაში განსაკუთრებული არაფერია...

თუ იმის მომხრე ვარ, რომ ძლიერნი ამა სოფლისანი, დასხდნენ და მოილაპარაკონ...

თუ მინდა, რომ 21-ე საუკუნეში არ იბომბებოდეს არც უკრაინა, არც ლიბია, არც ავღანეთი და არც საქართველო — რუსეთუმე ვარ?!

უკვე ვეღარ ვუძლებ ამდენ მხარეებს — მიშისტები, ბიძინისტები, კომუნისტები, პუტინისტები, ზელენსკისტები...

შედით, ჩემს ბლოგზე და ნახეთ აფხაზეთის ომზე კომენტარები, მე ვითხოვე, რომ ყველას დაეწერა, საკუთარი ისტორია.

დღეს აღვშფოთდით ხომ რუსეთის ფაშიზმზე?!

და დღეს ისინი, ვინც გულზე მჯიღს იცემთ (ღმერთმა დაგვიფაროს, ყველა არა!) აფხაზეთიდან გამოსულებს ჩამოთრეულებს ეძახდით, ბავშვებს არ ათამაშებდით ლტოლვილების შვილებთან.

ახლა რომ მეგმირებით აქ... საკუთარ სისხლს და ხორცს დღემდე იმას აძახებთ — რას გამორბოდით, ბოლომდე რატომ არ მოკვდითო იქ!..

ადამიანები, რომლებიც წელიწადზე მეტს იბრძოდნენ უიარაღოდ, ან უკეთეს შემთხვევაში ჟანგშეჭმული იარაღებით.

ყველაფერი არც ითქმება და არც იწერება ....

დიდება ღმერთს! (მარტო ღმერთს უხდება დიდება და იმიტომ!) და გამარჯვება უკრაინას“

„რეპორტიორი“

ოთარ შამუგია: მინდა, მივმართო ჩვენს მოსახლეობას, რომ მარაგების შექმნის საჭიროება არ არსებობს 3

ზურაბ აზარაშვილი: ხარისხიანი და დაბალფასიანი მედიკამენტების თურქეთიდან შემოტანა გრძელდება 3

მატრაბაზი ლავროვის ანტალიური შოუ



სერგეი ლავროვი: რუსეთის სხვა ქვეყნების თავდასხმის გეგმა არ აქვს, ჩვენ უკრაინასაც არ დავსხმივართ თავს!

– ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა **სერგეი ლავროვმა** ანტალიაში უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრ **დმიტრო კულებასთან** შეხვედრის შემდეგ განაცხადა.

„რაც შეეხება რუსეთის გეგმებს, დაესხას თავს სხვა ქვეყნებს, ჩვენ ასეთი გეგმები არ გვაქვს. ჩვენ უკრაინასაც არ დავსხმივართ თავს. ჩვენ ძირითადად აღვნიშნავდით, რომ იყო სიტუაცია, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქადდა რუსეთის ფედერაციას და მიუხედავად მრავალი ახსნა-განმარტებისა, კომენტარებისა, წინადადებისა, არავინ გვისმენს ჩვენ. და პრეზიდენტი პუტინი საუბრობდა მაგალითად დონბასის მოვლენებზე, მაგალითად, შეტევები სახალხო რესპუბლიკების წინააღმდეგ იგეგმებოდა აი ამ თვისთვის. და პენტაგონის აქციები და ქმედებები ასევე არის აღსანიშნავი ბიოლოგიურ ლაბორატორიებში უკრაინაში, პათოგენებზე ექსპერიმენტები, რომელიც შეიძლება, გამოყენებულ იქნას ბიოლოგიური იაღარის შესაქმნელად. და ევროკავშირმა გააკეთა განცხადება, რომ იგივეს არ აკეთებს უკრაინაში და ჩვენ არ გვაკვირვებს ეს. რაც განაცხადეს გამომსვლელებმა გაერო-დან, რომ მათ არ აქვთ ამაზე ინფორმაცია, ესეც არაა გასაოცარი, რადგან ამერიკელებმა ეს გააკეთეს დახურულად, ცდილობდნენ, დაემალათ ეს აქტივობები. აღნიშნულს აკეთებდნენ მრავალ პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში და ჩინეთში ამას წლების განმავლობაში აკეთებდნენ. არსებობს ბიოლოგიური იარაღის კონვენცია, რომელიც გვთავაზობს, რომ ყველა ქვეყანა ანგარიშვალდებული უნდა იყოს იმ აქტივობებზე, რომელიც მიმდინარეობს საკუთარ ტერიტორიაზე და სხვა ვქეყანაში. მაგრამ ქვეყნებს, რომლებიც იარაღს აწვდიან უკრაინას, უნდა ესმოდეთ, რომ მათ პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამ ქმედებებზე“...

* * *

„შეხვედრა გაიმართა ერდოღანის და თურქეთის ხელისუფლების ინიციატივით. ჩვენ დავთანხმდით, რადგან ვართ ყველა კონტაქტის მომხრე, რომელიც მიმართულია კრიზისიდან გამოსავალზე. დღევანდელმა შეხვედრამ დაადასტურა, რომ ალტერნატივა არ აქვს ბელარუსის მოლაპარაკების ფორმატს. ჩვენ არ ჩამოვსულვართ ბელარუსის ფორმატის შესაცვლელად. ჩვენ მოთხოვნებთან დაკავშირებით მიმდინარეობს საქმიანი პროცესი. აქ არავინ აპირებდა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების მიღწევას. ჩვენი ინიციატივა ჰუმანიტარულ დერეფნებზე ყოველდღიურად რჩება ძალაში. ყოველდღიურად ფასდება სიტუაცია, რომ იყოს უსაფრთხოება მოქალაქეებისთვის. უკრაინის მხარემ მიიღო ჩვენი წინადადებები და თქვა რომ განიხილავს. კრიზისიდან გამოსავალი უნდა იყოს მისაღები ევროპის კონტინენტზე ყველა ქვეყნისთვის. სამხედრო ოპერაციაზე ანგარიშს აკეთებს თავდაცვის სამინისტრო. ოპერაცია გეგმის მისედვით მიდის“...

* * *

„რაც შეეხება მარიუპოლის სამშობიაროზე თავდასხმას, არაერთხელ მოგვისმენია ასეთი პათეტიკა. ამ სახლს დიდი ხნის განმავლობაში აკონტროლებდა „აზოვის“ ბატალიონი და იყო ულტრარადიკალური ბატალიონის აზოვის ბაზა. მათ გაიყვანეს ყველა თანამშრომელი და ბავშვები იმ ტერიტორიიდან. უკრაინისგან ანტი რუსეთს აკეთებდნენ დიდი ხნის განმავლობაში. უკრაინას დასავლეთში ეუბნებოდნენ, რომ ან ჩვენთან ხართ, ან ჩვენ წინააღმდეგ. უკრაინაში იყო პროდასავლური ექსპერიმენტი. ნატომ დაიწყო უკრაინაში საზღვაო ბაზების და სარაკეტო სისტემების განთავსებაზე საუბარი. ჩვენ ევროპელებს შევთავაზეთ დიალოგი. გვითხრეს რომ ნატო-ს გაფართოების საკითხს რუსეთის გარეშე ვ გადაწყვეტდნენ. ამბობდნენ, რომ საფრთხე ჩვენთვის არ იყო. ჩვენ არ გვსურს უკრაინის მილიტარიზაცია ნატოთი ან ნატოს გარეშე. იქ ამერიკულ რაკეტების განთავსება. ვეწინააღმდეგებით ნეონაცისტურ განწყობებს. გვსურდა, რომ უკრაინა ყოფილიყო ნეიტრალური“, – განაცხადა ლავროვმა.

* * *

„ჩვენ სერიოზულად ვართ მზად, განვიხილოთ უკრაინის უსაფრთხოების გარანტიები. ჩვენ არ გვეშინია ილუზიები, რომ დასავლეთი იქნება სანდო პარტნიორი. დასავლეთს შეუძლია ღალატი ნებისმიერ დროს და დაარღვიოს დაპირებები. ჩვენ დამოკიდებული არ ვიქნებით დასავლეთზე იმ მიმართულებებზე, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენ ცხოვრებისთვის. რუსეთი ამ ვითარებიდან გამოვა იმ გაგებით, რომ დასავლეთი არ შეიძლება, იყოს სანდო პარტნიორი. კულებას ვუთხარი, რომ ჩვენ მზად ვართ პრეზიდენტების დონეზე შეხვედრისთვის, მაგრამ შეხვედრამ კონტრეტული შედეგები უნდა გამოიღოს. ჩვენ გვინდა დემილიტარიზებული, მეგობრული უკრაინა, რომელიც არ შექმნის საფრთხეს რუსეთისთვის, არ აკრძალავს რუსულ ენას და კულტურას, რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას“!..**

დმიტრო კულება: ვიმედოვნებ, ლავროვი დღევანდელ საუბარს გააგრძელებს რუსეთის მთავრობაში და შეისმენენ უკრაინელების თხოვნას

„ყველაზე ნაკლებად მინდა, იმედი მოვუკლა მოქალაქეებს, რომლებიც იტანჯებიან რუსეთის საჰაერო დარტყმებისგან, დაბომბვისგან და რუსეთის არმიის მიერ ჩადენილი მკვლელობისგან. მინისტრ ლავროვს გავუზიარე ერთი ეპიზოდი იმ იმედით, რომ მასზე კონსტრუქციულ, ადამიანურ ღირებულებებზე და ადამიანის სიცოცხლისადმი პატივისცემაზე დაფუძნებული რეაგირება ექნებოდა. ეს ეპიზოდი ეხება რუსი სამხედროების მიერ მოქალაქის მკვლელობას, რომელიც მანქანით მგზავრობდა. ასეთი რაღაცები უნდა შეწყდეს, ეს არის ომის დანაშაული და ყველა ვინც ჩართულია, ამაზე საბოლოოდ პასუხს აგებს. გულწრფელად ვიმედოვნებ, რომ მინისტრი ლავროვი დღევანდელ საუბარს გააგრძელებს თავის კოლეგებთან რუსეთის მთავრობაში, რუსეთის არმიაში და ისინი შეისმენენ ათასობით მოქალაქის თხოვნას, რომელთა სახელითაც დღეს ვსაუბრობდი და დაეხმარებიან მათთვის ალყაში მოქცეული ქალაქებიდან უსაფრთხო გასვლის ორგანიზებაში. უპირველეს ყოვლისა, მარიუპოლიდან, ასევე დაუშვებენ მარიუპოლში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას“...

* * *

„ეს ადვილი არ იყო. მან პირველად გაამარტივა რუსეთისა და უკრაინის მინისტრების კონტაქტები მას შემდეგ, რაც რუსული აგრესია დაიწყო. საუბარია იყო როგორც მარტივი, ასევე რთული. მარტივი იმიტომ, რომ მინისტრი ლავროვი მიყვებოდა თავის ტრადიციულ ნარატივს უკრაინასთან დაკავშირებით. რთული კი იმიტომ, რომ გავაკეთე ყველაფერი, რათა სულ მცირე მომენახა დიპლომატიური გადაწყვეტილება ჰუმანიტარული ტრაგედიისთვის, რომელიც ვითარდება საბრძოლო რეგიონებში, ალყაშემორტყმულ ქალაქებში. ყველაზე ტრაგიკული სიტუაცია ამჟამად გახლავთ ქალაქ მარიუპოლში, აზოვის ზღვის სანაპიროზე, რომელსაც ბომბავენ ჰაერიდან, რომელსაც ასევე ურტყამს საარტილერიო ცეცხლი. მე მოვედი აქ ჰუმანიტარული მიზნებით, რათა გამოვსულიყავი შეხვედრიდან, რომ მომხდარიყო ჰუმანიტარული დერეფნების მოწყობა შიგნით და პლიუს გარეთ. ანუ მარიუპოლიდან რომ გამოგვეყვანა მოქალაქეები, რომლებსაც უნდათ, დატოვონ ეს შიშისა და ბრძოლის ტერიტორია, ჰუმანიტარული დერეფანი გაგვეხსნა მარიუპოლში, რათა შეგვეტანა ჰუმანიტარული დახმარება ამ ქალაქში“.

* * *

„სამწუხაროდ, საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა ვერ აიღო აღნიშნული ვალდებულება საკუთარ თავზე, მაგრამ იგი ხელისუფლების შესაბამის წარმომადგენლებთან კონტაქტს დაგვპირდა ამ საკითხზე. ჩვენ ასევე წამოვწიეთ 24-საათიანი ცეცხლის შეწყვეტის საკითხი, რათა მოგვეგვარებინა ყველაზე უფრო მწვავე ჰუმანიტარული საკითხები. ჩვენ პროგრესს ვერ მივაღწიეთ ამასთან დაკავშირებით, რადგან, როგორც ჩანს, სხვები იღებენ გადაწყვეტილებას რუსეთში ამასთან დაკავშირებით. ჩვენ შევთანხმდით, რომ გავაგრძელებდით ძალისხმევას, რათა მოგვეძებნა გადაწყვეტილება ჰუმანიტარული პრობლემებისთვის ადგილზე. მე მზად ვიქნები, შევხვდე კვლავ აღნიშნულ ფორმატში, მოცემულ ფორმატში, თუ იქნება პერსპექტივები არსებითი დისკუსიისა და გადაწყვეტილების მონახვისთვის. როდესაც ორი საგარეო საქმეთა მინისტრი ერთმანეთს ხვდება, მათ აქვთ მანდატი, მოლაპარაკება აწარმოონ უსაფრთხოების, მშვიდობის საკითხებზე. მანდატი, რომელიც მათ მიანიჭეს პარლამენტებმა, მათი ქვეყნების ლიდერებმა და მზად ვარ, აღნიშნული ჩართულობა გავაგრძელო იმ მიზნით, რომ უკრაინაში ომი დასრულდეს, დასრულდეს სამოქალაქო პირების ტანჯვა და ჩვენი ტერიტორია გათავისუფლდეს რუსული საოკუპაციო ძალებისგან“.**

* * *

„ჩემი შთაბეჭდილებაა, რომ რუსეთი ახლა არ არის იმ პოზიციაზე, რომ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დააწესოს. მათ სურთ, უკრაინა ჩაბარდეს, ეს ის არ არის, რასაც ისინი მიიღებენ. უკრაინა არის ძლიერი, უკრაინა იბრძვის, უკრაინამ ჩაშალა რუსეთის თავდაპირველი გეგმები. ჩვენ მზად ვართ, ვეძებოთ დაბალანსებული დიპლომატიური გამოსავალი, რათა დავასრულოთ ეს ომი, თუმცა ჩვენ არ დავნებდებით“.**

* * *

შეხვედრა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა. ძალიან დიდი მადლობა ბატონ ჩავუშოღლუს, რომ მოახერხა ამ შეხვედრის ორგანიზება. ეს ადვილი არ იყო. მან პირველად გაამარტივა რუსეთისა და უკრაინის მინისტრების კონტაქტები მას შემდეგ, რაც რუსული აგრესია დაიწყო.

ისეთი დახმარება და მხარდაჭერა, როგორიც აქ აღმომიჩინეს, არსად მიგრძვნია

ანია სმირნოვა 2 მარტს, 2 წლის შვილთან ერთად, ომს ხარკოვიდან თბილისში გამოექცა. საქართველოში ჩამოსვლამდე, 3 დღე გზაში, აქედან 11 საათი ფეხზე მდგომმა გაატარა.

„ძალიან დიდი მადლობა მინდა გითხრათ ქართველ ხალხს – საოცარი ადამიანები ხართ, ისეთი დახმარება და მხარდაჭერა, როგორიც აქ აღმომიჩინეს, არსად მიგრძვნია. როდესაც აქ ჩამოვედი, პირველი, რაც შევნიშნე, არის უკრაინის დროშები. თქვენ ყველაზე კეთილი გული გაქვთ“, – ამბობს ანია სმირნოვა „იმედის დღესთან“ საუბრისას.

„დავაფარებდი შვილს ქუდს, რომ წამოვსულიყავით და იმ წამს იწყებოდა კიდევ ერთი დაბომბვა. ხარკოვიდან მარტო წამოვედი, შვილთან ერთად. სადგურამდე მამამ მიმიყვანა, საშინელება ხდებოდა. ხალხი ვაგონებში ასვლას ვერ ასწრებდა. იქ 11 საათი ვიყავით და, ამ დროის განმავლობაშიც კი, დაბომბვა გრძელდებოდა. ღამე უცხო ოჯახებში გავათიეთ. ბავშვი 7 დღე სარდაფში მყავდა, 3 დღე კი, გზაში ვატარე. მატარებელში, ფეხზე მდგომარეს, არც წყალი გვქონდა და არც საჭმელი. ეს ყველაფერი 21-ე საუკუნეში ხდება, ეს წარმოუდგენელია“, – ამბობს ანია სმირნოვა. მისი ოჯახი თავს ამ დრომდე სახლის სარდაფს აფარებს. დედას ტელეგრამით ეკონტაქტება, რათა მისი მდგომარეობა გაიგოს.

„დედა ახლაც სარდაფშია, ყოველდღიური კავშირი გვაქვს. საშინელი მდგომარეობაა, სროლები არ წყდება. ქალაქი განადგურებულია. შენობები, რომლებმაც მსოფლიო ომებს გაუძლეს, ნანგრევებადაა ქცეული. დედას უმძიმს წამოსვლა, თან, მგონია, რომ წამოვიდეს, ამდენს ვერ აიტანს. 5 დღე მაინც უნდა იაროს“, – ამბობს ანია სმირნოვა.

დედაქალაქი უკრაინელებს ეხმარება და... „შემოქმედებითი თბილისის“ საკონკურსოდ ემზადება

თბილისის მერიაში მუნიციპალიტეტის მთავრობის 9 მარტის სხდომაზე. დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, თბილისის მერმა, კახა კალაძემ რამდენიმე განცხადება გააკეთა და უკრაინის მოქალაქეების დასახმარებლად გატარებულ სხვადასხვა ღონისძიებაზე ისაუბრა.

მისი თქმით, საქართველოში მყოფ უკრაინის მოქალაქეებს დახმარების მიღების მიზნით, დედაქალაქის მერიის ცხელ ხაზზე – 032 272 22 22 დარეკვა შეუძლიათ.

„მინდა, კიდევ ერთხელ გამოვხატო ჩვენი მხარდაჭერა და თანადგომა უკრაინელი ხალხის მიმართ და ვუსურვო მათ მშვიდობა. როგორც იცით, საქართველოში მყოფი უკრაინის მოქალაქეებისთვის ტარდება გარკვეული ღონისძიებები. ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ეს ადამიანები საცხოვრისით და საკვები პროდუქტებით უზრუნველყოს. რა თქმა უნდა, მუნიციპალიტეტიც ჩართულია ამ ყველაფერში, რაც მისასალმებელია. მივიღეთ გადაწყვეტილება და მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არსებული ყველა სტრუქტურული ერთეული მათთვის იქნება უფასო: საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ბავშვთა გასართობი ცენტრები, მუზეუმები, თეატრები, საცურაო აუზები და ა.შ. მთავარია, რომ მათ უკრაინული პასპორტი წარმოადგინონ და ყველა მომსახურებას უფასოდ მიიღებენ. გარდა ამისა, უკრაინის მოქალაქეებისთვის იმოქმედებს თბილისის მერიის ცხელი ხაზი. ჩვენ შესაძლებლობების ფარგლებში, ყველანაირად ხელს შევუწყობთ და დავეხმარებით მათ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ამასთან, თბილისის მერმა კიდევ ერთხელ ისაუბრა სახაზინო ანგარიშზე, რომელიც სპეციალურად უკრაინის დასახმარებლად გაიხსნა და მასზე თანხის ჩარიცხვა ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია. კახა კალაძის თქმით, სახაზინო ანგარიშზე მოქალაქეებისა და ბიზნესსუბიექტების მიერ უკვე ნახევარ მილიონ ლარზე მეტია დარიცხული.

* * *

კახა კალაძემ მთავრობის სხდომაზე დედაქალაქში რეკრეაციული სივრცეების არსებობის მნიშვნელობაზეც გაამახვილა ყურადღება და აღნიშნა, რომ თბილისის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური გლდანის რაიონში, სარაჯიშვილის გამზირზე არსებულ შუა გამყოფ ზოლში რეკრეაციულ სივრცეს აწყობს.

მისი თქმით, სამუშაოები, რომლის ღირებულება შვიდი მილიონი ლარია, მიმდინარე წლის ბოლოსთვის დასრულდება.

„აღნიშნულ ტერიტორიაზე, რომლის ფართობიც ხუთ ჰექტარს შეადგენს, ტრამვაის ხაზი გადიოდა. დღეს ეს ადგილი სრულად გასაახლებელია. სამუშაოების ფარგლებში, დასასვენებელი სივრცე მოეწყობა. ასევე, მოეწყობა სარბენი ბილიკი, ურბანული ინფრასტრუქტურა, სარწყავი სისტემა. დაირგება ხე-მცენარეები, დამონტაჟდება განათების ბოძები. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თბილისი ყველაზე მწვანე ქალაქი გახდეს“.

დედაქალაქის მერმა ასევე აღნიშნა, რომ ბარათაშვილის ქუჩაზე, ისტორიულ გალავანთან მშენებარე სასტუმროს უკანონოდ დაშენებული სართულის დემონტაჟი დაწყებულია და პროცესს კომპანია ორ კვირაში დაასრულებს. მისი თქმით, შენობის მშენებლობა შეთანხმებული პროექტის მიხედვით და ყოველგვარი დამატებითი სართულის გარეშე დასრულდება.

მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა ყურადღება მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებაზეც გაამახვილა. მისი თქმით, მეტროსადგურის მიმდებარედ აღებულია ყველა ჯიხური, ხოლო გარემოვაჭრეები თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას ბაზრობის ტერიტორიაზე განაგრძობენ.

„მოვაწესრიგეთ მეტროსადგურ „ვარკეთილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა. გარევაჭრობის და ჯიხურების პრობლემა მოგვარებულია. აღებულია ყველა ჯიხური, ხოლო გარემოვაჭრეები გადასული არიან მიმდებარე ბაზრობის ტერიტორიაზე, სადაც შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ და ეკონომიკურ საქმიანობას განაგრძობენ“, – განაცხადა კახა კალაძემ. **დედაქალაქის მერმა განაცხადა, რომ კონკურსის – „შემოქმედებითი თბილისი“ მორიგი ეტაპი დაიწყო, მასში მონაწილეობის მსურველებს კი განაცხადის ატვირთვა 16 მარტის ჩათვლით, პორტალზე** - www.culture.tbilisi.gov.ge შეუძლიათ.

„ამჯერად, უკვე ნაცნობ მიმართულებებს, როგორიცაა საგამომცემლო საქმე, ვიზუალური ხელოვნება, დიზაინი და რეწვა, დაემატა ახალი მიმართულება – მედია არტი. როგორც მოგეხსენებათ, თბილისის მერიის ინიციატივით, დედაქალაქი გახდა კრეატიული ქალაქების ქსელის წევრი სწორედ მედია არტის მიმართულებით და შესაბამისად, ჩვენთვის ეს მიმართულება პრიორიტეტად იქცა“, – განაცხადა კახა კალაძემ. თბილისის მერმა თავის მოადგილეს, ანდრია ბასილაიას მოუწოდა, კონკურსში ჩართულობის მიზნით, დარგის წარმომადგენლებთან მეტი კომუნიკაცია დაამყაროს.

ხარისხიანი და დაბალფასიანი მედიკამენტები – თურქეთიდან

ჯანდაცვის მინისტრი, თურქეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქვეყნის ორი უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლებს შეხვდა. სამინისტროს ინფორმაციით, ზურაბ აზარაშვილმა წამყვანი თურქული ფარმაცევტული საწარმოებიც დაათვალიერა და ინდუსტრიის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიიღო. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ საქართველოში მაღალი ხარისხის, GMP სტანდარტით წარმოებული მედიკამენტების იმპორტი უმნიშვნელოვანესია.

მისივე განცხადებით, საქართველოს მოსახლეობას უკვე შეუძლია, თურქეთიდან იმპორტირებული, ხარისხიანი მედიკამენტები, მნიშვნელოვნად დაბალ ფასად შეიძინოს, აღნიშნული წამლების სია კი ეტაპობრივად გაიზრდება. დაიგეგმა ფარმაცევტული კომპანიის წარმომადგენლების ვიზიტი საქართველოში, სადაც მედიკამენტების იმპორტის რაოდენობის გაზრდის მიზნით, მხარდაჭერის მექანიზმებს განიხილავენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ზურაბ აზარაშვილი თურქ კოლეგასაც შეხვდა. მხარეებმა ჯანდაცვის სფეროში არსებული ერთობლივი პროექტები განიხილეს და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. ვიზიტის ფარგლებში გადაწყდა, რომ უახლოეს მომავალში საქართველოს თურქეთის რესპუბლიკის ჯანდაცვის მინისტრი ესტუმრება. ჯანდაცვის მინისტრთან ერთად თურქეთში, ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან: სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წამლის ინსპექტირების სამმართველოს ხელმძღვანელი ნანა შაშიაშვილი, ჯანდაცვის სამინისტროს რეფერალის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი სათუნა ჩაჩავა და შიდა აუდიტის სამმართველოს უფროსი ზურაბ დვალი.

ჩვენი მიზანია, ფერმერებისა და მეწარმეების ხელშეწყობა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ შამუგიამ საქართველოდან რძის პროდუქციის ექსპორტის შესაძლებლობებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და აღნიშნა, რომ სამწუხაროდ, მიზანმიმართულად არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა იმ განცხადების, რომელიც აღნიშნულ საკითხზე გაკეთდა.

„მინდა კიდევ ერთხელ ავხსნა პროცესი თუ რასთან გვაქვს საქმე. ჩვენი მთავარი ამოცანა და მიზანი არის ჩვენ ფერმერებს, მეწარმეებს ხელი შევუწყოთ სხვადასხვა ბაზარზე წვდომაში. ამ მიმართულებით გვაქვს კონკრეტული შედეგები და ეს შედეგები აისახება კონკრეტულ რიცხვებში. ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა გვაქვს სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის ევროკავშირის ქვეყნებში; ჩვენ ძალიან აქტიურ კამპანიას ვაწარმოებთ ღვინის ექსპორტის ხელშეწყობის კუთხით, სხვადასხვა კომპანიის ჩართულობით. ახლა ჩვენი ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები იმყოფებიან ამერიკაში შესაბამისი კომუნიკაციისთვის და მარკეტინგული კამპანიის საწარმოებლად. ამ მიმართულებებით გვაქვს ხელშესახები და კონკრეტული შედეგები. იგივე შეიძლება ითქვას სხვა პროდუქტების რეალიზაციის ხელშეწყობასთან დაკავშირებითაც. პირველ რიგში, ჩვენი პრიორიტეტული ბაზარი არის ევროკავშირი. ჩვენ ვმუშაობთ იმ სტანდარტების დანერგვაზე და იმ რეგულაციების შემოღებაზე, რომლებიც აუცილებელია ამ ბაზარზე ჩვენი ცხოველური წარმოშობის პროდუქტის შესატანად. გვაქვს პირველი შედეგიც – თაფლის ექსპორტის კუთხით, წინა წელთან შედარებით, 2021 წელს, 9-ჯერ გაიზარდა თაფლის ექსპორტი ევროკავშირის ქვეყნებში. სწორედ ამ პოლიტიკის ნაწილია, რომ 2020 წელს ჩვენ გვქონდა კომუნიკაცია ცხოველური წარმოშობის სურსათის ევრაზიის კავშირის წევრ ქვეყნებში შესაძლო ექსპორტთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენი მეწარმეების თხოვნიდან გამომდინარე, მათი საქმიანობის ხელშეწყობისთვის გაკეთდა. ორი წლის შემდეგ, სულ რამდენიმე დღის წინ მივიღეთ პასუხი. რძის პროდუქტების ექსპორტთან დაკავშირებით ჩვენ მოვისმინეთ მეწარმეების კომენტარებიც. დღეს ჩვენ გარკვეულ წილად დამოკიდებული ვართ რძის ნაწარმის იმპორტზე. ჩვენ საწარმოებს არ აქვთ რესურსი, რომ განვახორციელოთ ექსპორტი სხვადასხვა ბაზარზე. აქედან გამომდინარე, საკითხი აქტუალური არ მგონია, რომ იყოს“, – განაცხადა ოთარ შამუგიამ.

ოთარ შამუგია: მინდა, მივმართო ჩვენს მოსახლეობას, რომ მარაგების შექმნის საჭიროება არ არსებობს

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის, ოთარ შამუგიას განცხადებით, ქვეყანაში მარაგების შევსება ჩვეულებრივ რეჟიმში მიმდინარეობს და არც ერთი პროდუქტის იმპორტის განხორციელების მიმართულებით არ არის შეფერხება.

მისივე თქმით, არსებობს იმ რაოდენობის მარაგი, რომელიც საჭიროა მოსახლეობის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად.

„გახსოვთ, პანდემიის დასაწყისშიც ადგილი ჰქონდა პანიკურ შესყიდვებს, რის გამოც იყო გარკვეული პროდუქტების დეფიციტი დახლებზე. თუმცა, არც მაშინ იყო ეს მარაგების უქონლობით გამოწვეული, არამედ გამოწვეული იყო იმ პროცესებით, რაც მოსახლეობის მხრიდან მარაგების შექმნას უკავშირდებოდა. მინდა, მივმართო ჩვენს მოსახლეობას, რომ მარაგების შექმნისა და ამ მიზნით ზედმეტი შესყიდვების განხორციელების საჭიროება არ არსებობს, რადგან ჩვენ ყველა მიმართულებით, არა მარტო პირველადი მოხმარების, არამედ სხვა პროდუქტების მხრივ შესაბამისი მარაგები გვაქვს და ამას დაინახავს საზოგადოება მომავალ დღეებში“, – განაცხადა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ შამუგიამ.

მინისტრმა აღნიშნა, რომ **„რადგანაც გაიზარდა მოთხოვნა და გაიზარდა შესყიდვები მოსახლეობის მხრიდან, დისტრიბუცია ლოჯისტიკურ ჯაჭვში ამ პროცესებს ვერ აყვა, რაც გამოსწორდება რამდენიმე დღეში და ჩვენ ვნახავთ, რომ ამ მიმართულებით პრობლემა არ არის“,** – განაცხადა ოთარ შამუგიამ. ოთარ შამუგიას თქმით იმპორტიორები და ბიზნესი მზადაა, რომ იმ პროდუქტებთან მიმართებით, რომელთა მოწოდებაშიც შესაძლოა გარკვეული შეფერხებები გაჩნდეს უკრაინაში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, სხვა ბაზრებიდან მოწოდებით ჩაანაცვლოს.

„ჩვენ მაქსიმალურად მხარს დავუჭერთ ჩვენს ბიზნესს, იმპორტიორებს, რათა მათ შესაბამის ბაზრებზე ჰქონდეთ წვდომა და ჩვენი საელჩოების, ჩვენი კოლეგა სამინისტროების მეშვეობით მაქსიმალურ მხარდაჭერას აღმოვუჩენთ კონტაქტების დამყარებაში და შესაბამისი ბაზრების მოძიებაში. ამ ეტაპზე იმპორტიორი ქვეყნების ჩანაცვლების საჭიროება არ დგას“, – განაცხადა შამუგიამ.

„საწვავის ფასი მთელ პლანეტაზე გაიზრდება!



სანავთობო ბაზრებზე კატასტროფული ვითარებაა. მას შემდეგ, რაც ამერიკამ რუსული ნავთობის იმპორტი აკრძალა, ფასი ერთბაშად გაიზარდა და 2008 წლის მაქსიმუმს მიუახლოვდა. ეს ნიშნავს, რომ საწვავის ღირებულება წარმოუდგენელ მაჩვენებელს მიაღწევს.

აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საგანგებო ბრიფინგზე დაადასტურა, რომ რუსეთზე სანავთობო ემბარგო შემოიღო. როგორც ჩანს, პუტინის რეჟიმის წინააღმდეგ ეკონომიკური შეტევა ბოლო ფაზაში შედის.

„ამერიკამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა აღმოუჩინა უკრაინას და ჩვენ არ განვახორციელებთ ამ ქვეყანაში მიმდინარე ომის სუბსიდირებას. გასაგებია, რომ ევროკავშირი, ბევრი ჩვენი პარტნიორი ქვეყანა ვერ ახერხებს ჩვენთან შემოერთებას. აშშ უფრო მეტ ნავთობს აწარმოებს, ვიდრე სხვა ევროპული ქვეყანა ერთად აღებული, ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ამ ნაბიჯის გადადგმა მაშინ, როდესაც სხვები ამას ვერ ახერხებენ.

ვმუშაობთ გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებაზე ევროპელ პარტნიორებთან ერთად, რომლებიც უფრო მეტად არიან დამოკიდებული რუსულ ენერგორესურსებზე. დღეს ვართ ერთიანები ჩვენს გადაწყვეტილებაში, რომ გავაძლიეროთ წნეხი პუტინზე და უფრო მეტი ტკივილი მივაყენოთ მას.

მე დასაწყისიდანვე განვაცხადე, რომ ამერიკელ ხალხთან გულახდილი ვიქნებოდი. თავისთავად, ეს ჩვენთვისაც დიდი ზარალის მომტანი იქნება, მაგრამ როგორც რესპუბლიკელებს, ისე დემოკრატებს ესმით ჩემი შეხედულება. ერთიანი ვართ ამ გადაწყვეტილებაში“, – განაცხადა ბაიდენმა.

ამერიკის პრეზიდენტის გადაწვეტილებას მხარს უჭერენ სენატორები. ერთ-ერთი მათგანი **კრის კუნსი** ადასტურებს ინფორმაციას, რომ გლობალურ ბაზრებზე დიდი ცვლილებები იქნება მოსალოდნელი.

„საწვავის ფასები მთელ პლანეტაზე გაიზრდება, მაგრამ „ეს არის თავისუფლების ფასი“, – განაცხადა სენატორმა კუნსმა „სი-ენ-ენ-თან“ ინტერვიუში.

საბოლოო ჯამში, აკრძალვა შეეხება რუსულ ნედლ ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს, გათხევადებულ ბუნებრივ აირს და რუსულ ნახშირს. 2021 წელს რუსული ნედლი ნავთობი აშშ-ის იმპორტის 8%-ს შეადგენდა. აშშ-სთან შედარებით ბევრად მაღალია რუსულ ნავთობზე დამოკიდებულება ევროკავშირში, რომლის ნავთობიმპორტის ერთი მესამედი სწორედ რუსეთზე მოდის. ევროკავშირი რუსეთიდან ყოველდღიურად 4 მილიონ ბარელ ნედლ ნავთობს იღებს.

ემბარგოს კვალდაკვალ საწვავის ფასი არანორმალურად გაიზარდა. 1 ბარელი ნავთობის ღირებულება უკვე მიუახლოვდა 2008 წლის ყველაზე მაღალ მაჩვენებელს (147 დოლარი).

ფასები საწვავზე იზრდება საქართველოშიც. ბენზინგასამართი სადგურების ტაბლოებზე ფასი თითქმის ყოველდღიურად იცვლება. ნავთობიმპორტიორთა კავშირის თავმჯდომარე **ვანო მთვრალაშვილი** ადასტურებს, რომ ნავთობზე ფასები მიმდინარე ეტაპზე ისტორიულად მაღალ მაჩვენებელზეა, ამის პარალელურად გაზრდილია საერთაშორისო ფასები ბენზინსა და დიზელზე.

„ბოლო ერთი თვის განმავლობაში დიზელის საწვავის ფასი გაზრდილია ტონაზე თითქმის 400 დოლარით, ეს არის 50%-იანი ზრდა. ბენზინის საწვავის შემთხვევაში ერთ ტონაზე ფასი გაზრდილია 255 დოლარით, ეს არის 30%-იანი მატება, ანუ ეს არის კატასტროფულად გაზრდილი ფასები.

ამერიკის გადაწყვეტილებამ ბირჟებზე შოკი გამოიწვია

ისტორიაში არასდროს ყოფილა დროის ასეთ მცირე ინტერვალში ასეთი მასშტაბური ზრდა. მეორე მნიშვნელოვანი ნეგატიური ფაქტორი, რაც საწვავის ფასზე პირდაპირ მოქმედებს, ეს არის ლარის გაცვლითი კურსი დოლართან მიმართებით. ვხედავთ, რომ იგივე პერიოდში ლარი დოლართან შედარებით მნიშვნელოვნად გაუფასურდა, რომელიც კიდევ დამატებითი უარყოფითი ფაქტორია საწვავის ფასთან დაკავშირებით.

ბოლო დღეების განმავლობაში როგორც ბრენდირებულ ისე არაბრენდირებულ სადგურებს უწევთ ფასების მატება. მსგავსი ვითარებაა მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. რა თქმა უნდა, მოლოდინიც არ გვაქვს ოპტიმისტური, ფასების ზრდა გაგრძელდება, თუმცა სადამდე, ამას ვერავინ იტყვის. პროგნოზი არ არის დამაიმედებელი“, – განაცხადა მთვრალაშვილმა. ბრენდირებულ გასამართ სადგურებზე საწვავის ღირებულება უკვე უახლოვდება 3,50-ლარიან ნიშნულს. საკმაოდ გაიზარდა საწვავის ფასი მცირე ავტოგასამართ სადგურებზეც.

„სამწუხაროდ, არანაირი დამაიმედებელი პროგნოზების გაკეთება საწვავის ფასთან დაკავშირებით არ შეიძლება. ჯერჯერობით, არ ჩანს ამ პროცესის დასასრული. ყველაფერი დამოკიდებულია ომის ხანგრძლივობაზე და რამდენად შეიზღუდება ნავთობის ექსპორტი რუსეთიდან. ეს არის საფასური, რასაც ომის გამო ვიხდით“, – განაცხადა „ბიემთან“ მთვრალაშვილმა.

რუსეთი საწვავის ერთ-ერთი მთავარი მომწოდებელია საქართველოსთვისაც. 2021 წლის მდგომარეობით, თურქმენეთის შემდეგ საქართველომ მთლიანი იმპორტის 19,3% სწორედ რუსეთისგან შეიძინა.

ბექა დანელია

ფულადი გზავნილები თითქმის განახევრდა!

2022 წლის იანვრის სტატისტიკით, საქართველოში გზავნილების მოცულობის მიხედვით, რუსეთის ფედერაცია 422.4 მილიონით მეორე ადგილზეა, კლება წინა წელთან 3%-ია, უკრაინა კი 45.5 მილიონით – მეცხრე ადგილზე, კლებამ წინა წელთან 15% შეადგინა.

როგორ აისახა ფულად გზავნილებზე რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი და ბოლო 2 კვირის მონაცემებით, აღნიშნული ქვეყნებიდან რამდენით შემცირდა გადმორიცხვები, ამ თემაზე „კომერსანტს“ ფულადი გზავნილების ქართული კომპანია „ინტელიექსპრესის“ ბიზნესის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი **ლევან თავართქილაძე** ესაუბრა.

„რუსეთ-უკრაინის ომმა ფულად გზავნილებზეც იქონია გავლენა. გზავნილები ორივე ქვეყნიდან და ქვეყნის მიმართულებით საგრძნობლადაა შემცირებული. უკრაინის ეროვნულმა ბანკმა, ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო, 23 თებერვლიდან აკრძალა უკრაინიდან ფულადი გზავნილების განხორციელება. უკრაინისთვის დღეს მნიშვნელოვანია ხელი შეუშალოს თანხების გადინებას და მაქსიმალურად მოახდინოს ფულადი სახსრების მოზიდვა. ფულადი დახმარება ასეთ კონფლიქტურ პერიოდში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს. ამიტომ „ინტელიექსპრესში“, კონფლიქტის დაწყების პირველივე დღეებში, მივიღეთ გადაწყვეტილება 6 ქვეყნიდან გაგვეუქმებინა საკომისიო ფულად გზავნილებსა და საბანკო გადარიცხვებზე უკრაინის მიმართულებით. ჩვენი სისტემით საქართველოდან, დიდი ბრიტანეთიდან, საბერძნეთიდან, თურქეთიდან, იტალიიდან და კვიპროსიდან თანხა უპროცენტოდ იგზავნება.

თანხას უგზავნიან ფიზიკურ პირებსაც, თუმცა გადარიცხვების დიდი წილი ასევე ხორციელდება საქველმოქმედო მიზნებით უკრაინის ეროვნული ბანკისა და უკრაინის სოციალური პოლიტიკის სამინისტროს ანგარიშებზე. რაც შეეხება რუსეთს, აქაც გავლენა იქონია დაწესებულმა შეზღუდვებმა. რუსული საბანკო სისტემა გაითიშა SWIft-დან და შესაბამისად რუსულ სისტემებსა და ბანკებს შეექმნათ ანგარიშსწორების პრობლემა. აქედან გამომდინარე მოგვიწია რუსული სისტემების სერვისის არაერთხელ შეჩერება. ამიტომ გზავნილები თითქმის განახევრდა“, – ამბობს თავართქილაძე.

ნინო თამაზაშვილი

უკრაინულ და რუსულ სურსათს თურქული პროდუქცია ჩაანაცვლებს!

უკრაინის მთავრობამ ჭვავის, ქერის, წიწიბურას, ფეტვის, შაქრის, მარილისა და ხორცის ექსპორტი მიმდინარე წლის ბოლომდე აკრძალა. ამასთან, რუსეთში შეფერხებულია ფულადი გადარიცხვები.

„დისტრიბუტორთა ბიზნეს-ასოციაციის“ ხელმძღვანელი **ივა ჭყონია** გვიყვება, რომ რუსეთიდან და უკრაინიდან შემოსულ სასურსათო პროდუქციას ქართული ბაზრის 60%-ზე მეტი წილი უკავია. ამის მიუხედავად ბიზნესმენი აცხადებს, რომ ქართულ ბაზარს პირველადი მოხმარების პროდუქტების დეფიციტის საფრთხე არ ემუქრება. კომპანიები აქტიურად მუშაობენ სხვა, ალტერნატიული ბაზრების მოძიებაზე. როგორც ივა ჭყონია ამბობს, ყველაზე აქტიურად თურქეთი განიხილება.

„ქვეყანაში გარკვეული მარაგები არის, მაგრამ პროდუქტები, რომელიც უკრაინიდან შემოდიოდა – წიწიბურა, ზეთი, ფქვილი და ასე შემდეგ, სამწუხაროდ, აღარ შემოდის. ამ ეტაპზე რუსეთიდან იმპორტზე შეფერხება არ შეინიშნება, თუ არ ჩავთვლით ფულად გადარიცხვებს, რაც გაპრობლემდა. რა თქმა უნდა, პარალელურად მიდის ალტერნატიულ ბაზრებზე მუშაობა, საიდანაც შევძლებთ პროდუქტების წამოღებას. ეს ნეგატიურად აისახება ჩვენს ბაზარზე იმიტომ, რომ გაცილებით ძვირი ეღირება. ყველაზე აქტიურად თურქეთი განიხილება, რადგან ახლოსაა. აგრეთვე განიხილება ჩვენი პარტნიორები ევროკავშირიდან, მაგრამ ყველაფერს რომ თავი დავანებით, ლოჯისტიკის ნაწილში პროდუქციის შემოტანა საკმაოდ ძვირი იქნება. აქედან გამომდინარე, მოლოდინები არასახარბიელო გვაქვს, თუმცა, დეფიციტის საფრთხე არ გვემუქრება. შეიძლება რაღაც დასახელების ზეთი ვერ ნახოთ, მაგრამ ნახავთ სხვას. მაგალითად გავიგეთ, რომ „ნემიროვის“ და „სანდორას“ ქარხნები გაჩერებულია. თუ ვერ ნახავთ არაყ „ნემიროვს“, შეგხვდებათ სხვა. ალტერნატივა ყოველთვის არის. ის, რომ რომელიმე პროდუქტი, მაგალითად წიწიბურა ან ბრინჯი დეფიციტში იყოს, ეს საკითხი დღის წესრიგში არ დგას, უბრალოდ მივიღებთ შეცვლილი ფასით“, – განმარტავს ივა ჭყონია.

კომერსანტი

ლია მუხაშავრია:

ჰააგის სასამართლო პუტინის აგრესიას კოსმოსიდან აკვირდება!..

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი შესაძლოა მსჯავრდებულის სტატუსით მოგვევლინოს იმ დანაშაულისთვის, რომელსაც ახლა უკრაინაში სჩადის. როგორც იურისტი ლია მუხაშავრია აცხადებს, ჰააგის სასამართლოს დღეს იმდენად თანამედროვე ტექნოლოგიები აქვს, რომ პუტინის წინააღმდეგ მტკიცებულების მოპოვებას კოსმოსიდან შეეცდება. მისივე თქმით, აუცილებლად უნდა ველოდოთ მეორე ნიურნბერგის პროცესს, უბრალოდ ეს დროში იქნება გაწელილი.

— ჰააგაში რუსები თუ არ გამოცხადდნენ, ამ შემთხვევაში რა მექანიზმით შეიძლება, როგორც სამხედრო დამნაშავე, ვლადიმერ პუტინი გასამართლდეს?

— პირველ რიგში გამოძიება უნდა წარიმართოს. გამოძიებამ უნდა მოიძიოს მტკიცებულებები, რომელიც იქნება უშუალო მტკიცებულებები. ეს გამოძიებაც თავად სასამართლოს ეკუთვნის და უშუალოდ მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, სასამართლოსთვის მუშაობს. საქმეს ჰყავს თავისი პროკურორი, მაგრამ მათ აქვთ სასამართლოს მიერ დადგენილი მტკიცების სტანდარტი და როგორც კი მტკიცებულებებს მოძებნიან, რომელიც ამ სტანდარტს აკმაყოფილებს (მათთვის არ აქვს მნიშვნელობა, დამნაშავე ვინ არის, პრეზიდენტი თუ სხვა ვინმე), მას პასუხისგებაში მისცემენ.

თუმცა, ნუ დაგვავიწყდება, რომ გამოძიება ხანგრძლივია. ჩვენს აგვისტოს ომზეც არის დაწყებული გამოძიება, მაგრამ დღემდე დასრულებული არაა. ამიტომ, ვისურვებდი, რომ გამოძიება სწრაფად წავიდეს. ყოველ შემთხვევაში, რაღაცა წინასწარი ზომები მაინც მიიღოს სასამართლომ, რათა შემდგომი დანაშაულებისთვის შემაკავებელი იყოს!..

— კონკრეტულად ჰააგის სასამართლოს რა ბერკეტი აქვს იმისთვის, რომ ამ შემთხვევაში რუსეთი და მისი ხელისუფლების წარმომადგენლები დამნაშავედ სცნოს?

— თუ საკმარისი მტკიცებულებები დაგროვდა იმის დასადასტურებლად, რომ ჩადენილია გენოციდი, ეთნიკური წმენდა, ადამიანურობის წინააღმდეგ ჩადენილია დანაშაული და მეოთხეა აგრესია. ამ ოთხი დანაშაულიდან რომელიმე ერთი მაინც თუ არის ჩადენილი და ამას ადასტურებს უტყუარი მტკიცებულებები ან მტკიცებულებათა ერთობლიობა, მაშინ იქნება სასამართლო.

თუმცა, სასამართლომდე საგამოძიებო პროცესი მიმდინარეობს. ახლა, უკრაინაში საომარი ვითარებაა, ფრონტის ხაზი ძალიან დიდ ტერიტორიაზეა გაშლილი და ეჭვი მაქვს, რომ ადგილზე გამოძიება ვერ ჩატარდება, ადგილზე გამომძიებლები ვერ იმუშავებენ, მაგრამ კოსმისიდან შესაძლებელია სატელიტური დაკვირვება და სატელიტური ანტენების საშუალებით მტკიცებულებების მოპოვება. ეს სასამართლო ნამდვილად არის შეიარაღებული უახლესი საინფორმაციო და სხვა ტექნიკური საშუალებებით და შეუძლიათ ეს ყველაფერი ციდან გადაიღონ.

— თქვენ კი თქვით, რომ ჰააგის სასამართლო წლები შეიძლება გაიწელოს, მაგრამ თუ არსებობს იმის საშუალება ან მექანიზმი, რომ გამოძიების წინასწარი მონაცემები დაიდოს, რითაც თუნდაც რუსეთს შეაკავებენ?

— არა, გამორიცხულია. მაგალითად, ჩვენს საქმეზე, ჰააგის ტრიბუნალს არანაირი წინასწარი განაჩენი არ გამოუტანია. ეს გააკეთა მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლომ, ანუ გაეროს სასამართლომ 2009 წლის აპრილში წინასწარი განკარგულება გამოიტანა, რომ ყოველგვარი საომარი პროცესი შეჩერებულიყო. აღნიშნული განკარგულება საქართველოსაც და რუსეთსაც გამოუტანა. თუმცა, რუსები ბორდერიზაციას აგრძელებენ, აგრძელებენ ტერიტორიის ოკუპაციას. ამის მიუხედავად, ჰააგაში გადაწყვეტილება ჯერაც არ არის გამოტანილი. ამიტომ, წინასწარ არანაირი ღონისძიების იმედი არ შეიძლება იყოს, თუ, რა თქმა უნდა, თავად სასამართლო არ შექმნის პრეცედენტს და პროცედურას თავად არ შეცვლის.

— იმ შემთხვევაში, თუ ჰააგის სასამართლომ რუსეთი და მისი პრეზიდენტი დამნაშავედ სცნო, რა ბედი ელის მას?

— არსებობს ე.წ. უნივერსალური იურისდიქცია, რომელიც გულისხმობს იმას, რომ, როგორც კი პუტინი რუსეთის ტერიტორიას დატოვებს, მისი დაკავება დაუყოვნებლივ მოხდება (რუსეთში პუტინს არ დააჭერინებენ). რა თქმა უნდა, ამ სასამართლოსთან ინტერპოლი თანამშრომლობს და ამგვარად ხდება დამნაშავის დაკავება. როგორც კი დაპატიმრების ბრძანება გაიცემა, მაშინვე მისი აღსრულება მოხდება.

— ვიდრე ჰააგის სასამართლო განაჩენს გამოიტანს, პუტინის შესაჩერებლად სამართლებრივად კიდევ რა მექანიზმები არსებობს?

— სამწუხაროდ, არ არსებობს, თორემ გამოყენებული იქნებოდა.

— პუტინის გარდა ვინ შეიძლება კიდევ გასამართლდეს?

— დიახ, შესაძლებელია გასამართლდეს უშუალოდ ბრძანების გამცემი. მაგალითად, გუშინწინ ჰუმანიტარული დერეფანი გაკეთდა, ამ დროს ვინც ბრძანება გასცა და სროლა განახორციელა, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა, ისინი, რა თქმა უნდა, დამნაშავეები არიან.

— ამ ყველაფრის ფონზე მოსალოდნელია მეორე ნიურნბერგი?

— სავარაუდოდ — კი. თუმცა, ჯერ იქამდე შორია. დროს ვგულისხმობ, ეს დროში საკმაოდ დიდხანს გაიწელება. პირველ რიგში, ჯერ ომი უნდა დასრულდეს, შემდეგ ომის შედეგები უნდა დადგეს, ამის შემდეგ უნდა მოველოდოთ მეორე თუ მესამე ნიურნბერგს.

ესაუბრა
ქეთი გიორგაძე

ვლად გეორგე:

„რუსი ოლიგარქების აქტივები კი არ გავყინოთ, გავყიდოთ და უკრაინას დავეხმაროთ“

„ეს ფაქტობრივად მარშალის გეგმაა უკრაინისთვის, მაგრამ აგრესორის ფულით. ამ მიდგომას ჩემი ბევრი კოლეგა იგზიარებს“, — ეუბნება ევროპარლამენტის წევრი რუმინეთიდან, ვლად გეორგე „რადიო თავისუფლებას“.

„პრეზიდენტო ურსულა ფონ დერ ლაიენ, მოგიწოდებთ, შექმნათ უკრაინის აღორძინების ფონდი, რომელიც დაფინანსდება ნაწილობრივ ევროკავშირის რესურსებიდან და ნაწილობრივ რუსეთის იმ მოქალაქეების აქტივების გაყიდვით, რომლებიც ევროკავშირის სანქციების სამიზნე გახდნენ და რომელთა აქტივები გაყინულია“, — ამ წერილით გეორგემ ევროკომისიის პრეზიდენტს გასულ კვირას მიმართა. ოლიგარქებისა და პუტინის ახლო წრის ევროპაში „გაყინული“ აქტივების ფასი მრავალი მილიარდია — რუმინელი ევროპარლამენტარი ამბობს, რომ თუ რუსეთს სრულ პასუხისმგებლობას ვაკისრებთ უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, მაშინ უკრაინაში „რუსის მიერ დანგრეულიც რუსული ფულით უნდა აღდგეს“.

ის დარწმუნებულია, რომ იდეა თანდათან უფრო და უფრო პოპულარული გახდება ევროპარლამენტში და ახლა თანამოაზრეებთან ერთად ამ მიმართვის ევროპარლამენტის რეზოლუციად გაფორმებაზე მუშაობს.

— „რ. თ“. დაახლოებით რა თანხაზეა საუბარი?

— თანხა შთამბეჭდავია — 800 მილიარდი ევრო, ასე ფასდება სანქცირებული რუსების ქონება ევროკავშირში. და ეს რაც ჯერჯერობით ვიცით — მინდა ხაზი გავუსვა, რომ ეს არის დღევანდელი თანხა. ხვალ ან შემდეგ კვირას შეიძლება კიდევ მეტი იყოს, მოკლებით არ მოიკლებს. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ მსგავსი პრეცედენტები არსებობს, გაუგონარს არაფერს ვითხოვთ: ასე მოვიქეცით ლიბიასთან, ავღანეთთან მიმართებითაც. კი, რუსეთი იქნება პირველი დიდი ქვეყანა, რომლის წინააღმდეგაც მსგავს ზომებს გამოვიყენებთ, მაგრამ როდესაც აგრესორი ხარ, შენს ქმედებებზე პასუხი უნდა აგო, მიუხედავად იმისა, დიდი ტერიტორია გაქვს თუ არა. თუ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ ჩვენ, დასავლეთი, ვართ სივრცე, სადაც კანონის უზენაესობა ცარიელი სიტყვები არაა, სწორედ ასე უნდა მოვიქცეთ. რუსეთმა საკუთარი აგრესიისთვის თავისივე ჯიბიდან უნდა გადაიხადოს. ასე რომ, საბოლოო მიზანი არის ამ ფულის უკრაინის აღორძინებისთვის მოხმარება.

— უკრაინის, საქართველოსა და მოლდოვისთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებაზეც გკითხავთ - რამდენად მოსალოდნელია, ეს სტატუსი კიევთან ერთად თბილისმა და კიშინიოვმაც მიიღონ?

— ჯერჯერობით ერთადერთი რამ, რასაც პუტინმა მართლა წარმატებით გაართვა თავი, ეს ჩვენი გაერთიანება და ევროკავშირის, ასე ვთქვათ, გამოღვიძებაა. მანამდე ევროკავშირი კრიზისის მენეჯმენტში მოიკოჭლებდა და პუტინმა ეს პრობლემა მოგვიგვარა. შესაბამისად, ვფიქრობ, რომ წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც ქვეყნებს ათწლეულები უნდა ეცადათ ევროკავშირის პასუხისთვის — ჩვენ, რუმინეთმა განაცხადი 1995 წელს შევიტანეთ და წევრები 2007 წელს გავხდით. ვფიქრობ, ეს მიდგომა აღარ მუშაობს და მალე ვიხილავთ დაჩქარებულ პროცესს. პირველ რიგში იმიტომ, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოსახლეობას უკრაინის მაგალითმა საბოლოოდ დაანახა, რომ უნდა დავიცვათ ევროპის მოქალაქეები, მიუხედავად იმისა, დღეს არიან ევროკავშირის წევრები, თუ ხვალ გახდებიან. ამიტომ მიმაჩნია, რომ უკრაინასთან ერთად საქართველოსაც და მოლდოვასაც უნდა მივცეთ კანდიდატის სტატუსი. ველოდები და მინდა, რომ ეს ასე მოხდეს. სწორედ ახლაა კარგი დრო ამისთვის — ისტორიის მანძილზე, ბევრი კარგი შესაძლებლობა გავუშვით ხელიდან, მაგრამ მოდით, ამ შესაძლებლობას ხელიდან ნუ გავუშვებთ.

— ასე არ ფიქრობს უკრაინის საგარეო საქმეთა მინისტრი დმიტრო კულება - მისი თქმით, თბილისი და კიშინიოვი კიევის „სწრაფმავალ მატარებელს“ შეახტნენ - თვლის, რომ უკრაინის განაცხადი ბრიუსელში ცალკე, საქართველოსა და მოლდოვის გარეშე უნდა განიხილონ...

— გარკვეულწილად მესმის, რატომ ამბობს ამას, მესმის, რა მდგომარეობაშიცაა ახლა. მაგრამ მინდა ვთქვა, რომ სწორი მიდგომა იქნება, თუ ამ სამივე ქვეყანას ერთ პაკეტში განვიხილავთ და აი, რატომ: დღეს უკრაინაშია ომი, გუშინ საქართველოში იყო და ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ხვალ შეიძლება მოლდოვაში იყოს, თუ პუტინი დაესხმება თავს. უკრაინა რომ წინ არ აღდგომოდა პუტინს, სავსებით შესაძლებელია, რომ იმავე სცენარს მოლდოვაშიც ვიხილავდით. საქართველოშიც და მოლდოვაშიც რუსული სამხედრო დანაყოფები არიან, ამჟამად პასიური, მაგრამ ღილაკზე თითის ერთი დაჭერა აშორებთ გააქტიურებისგან. ამიტომ ვფიქრობ, რომ მათაც ისევე უნდა მივუდგეთ, როგორც უკრაინას.

— კიშინიოვი და თბილისი იმითაც „გამოირჩნენ“, რომ რუსეთის წინაალმდეგ სანქციებს არ შეუერთდნენ — შეიძლება თუ არა, ამან უარყოფითი გავლენა იქონიოს ბრიუსელში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე?

— არა მგონია. სანქციებზე მუშაობა და მათი დაწესება ჩვენი საქმეა და არა მათი, ევროკავშირმა უნდა იტვირთოს აქ ლიდერის ფუნქცია. და უნდა გვესმოდეს, რომ პატარა, არაწევრ ქვეყნებს იმავეს ვერ მოვთხოვთ, იმიტომ რომ უზარმაზარი აგრესორი ჰყავთ მეზობლად. სანამ ევროკავშირში არ გაწევრდებიან, გაგებით და პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ მათ მსგავს ნაბიჯებს. აი, როდესაც ევროკავშირის ქოლგის ქვეშ იქნებიან, მაშინ სხვა საქმეა, მაშინ შეგვიძლია მათ მოვთხოვოთ, რომ სანქციების პოლიტიკას მოერგონ.

ვაჟა თავგერიძე

იქ პატარა ბანდერელები იყვნენ?

„ავიაბომბი სამშობიაროზე იმის საბოლოო მტკიცებულებაა, რომ უკრაინელების გენოციდი ხორციელდება. ევროპელებო, ვერ იტყვით, რომ არ გინახავთ, რა დაემართათ უკრაინელებს. ყველაფერი ნახეთ, ყველაფერი იცით. შესაბამისად, რუსეთის წინააღმდეგ სანქციები უნდა გააძლიეროთ, რათა რუსეთს გენოციდის გაგრძელების საშუალება არ ჰქონდეს. რუსეთზე ზეწოლა უნდა მოახდინოთ, რათა მოლაპარაკებების მაგიდასთან დაჯდეს და ეს სასტიკი ომი დაასრულოს“, — აღნიშნა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. უკრაინის პრეზიდენტის თქმით, ის, რასაც ოკუპანტები მარიუპოლში აკეთებენ, უკვე მხეცობას სცდება.

„საბავშვო საავადმყოფო, სამშობიარო კლინიკა. რითი ემუქრებოდნენ რუსეთის ფედერაციას? რა ქვეყანაა ასეთი ეს რუსეთის ფედერაცია, საავადმყოფოებისა და სამშობიაროების რომ ეშინია და ანადგურებს მათ? იქ პატარა ბანდერელები იყვნენ? თუ ფეხმძიმე ქალები როსტოვისთვის ცეცხლის გახსნას აპირებდნენ? სამშობიაროში ვინმე რუსულენოვნებს ამცირებდა? ეს საავადმყოფოების დენაციფიკაცია იყო?“ — განაცხადა ვოლოდიმირ ზელენსკიმ. ვატიკანის სახელმწიფო მდივანმა მარიუპოლის ბავშვთა საავადმყოფოსა და სამშობიაროს დაბომბვას მიუღებელი უწოდა.

„საავადმყოფოს დაბომბვა მიუღებელია. არ არსებობს მიზეზი, არ არსებობს მოტივაცია ამის გასაკეთებლად“, — აღნიშნა კარდინალმა პიეტრო პაროლინმა.

ᲙᲠᲔᲛᲚᲘ – ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲑᲣᲜᲐᲒᲘ



ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲔᲚᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ

2005 ᲬᲚᲘᲡ 8 მარტს რუსეთის სპეცსამსახურმა მოკლა ჩეჩნეთის რესპუბლიკის (იჩქერიის) პრეზიდენტი, ᲐᲡᲚᲐᲜ ᲛᲐᲡᲮᲐᲓᲝᲕᲘ, რომელზეც მანამდე ძებნა იყო გამოცხადებული, თუმცა ეს არ ყოფილა არც პირველი და არც უკანასკნელი პოლიტიკური მკვლელობა, რომლის უკანაც, ღიად თუ ფარულად, რუსეთის ხელისუფლება და მისი სპეცსამსახურები იდგნენ. სხვადასხვა დროს, ცეცხლსასროლი იარაღით, ჭურვით, ასაფეთქებელი მოწყობილობითა თუ ქიმიური იარაღით მოკლეს: ᲑᲝᲠᲘᲡ ᲜᲔᲛᲪᲝᲕᲘ, ᲐᲜᲐ �პᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐ, ᲡᲔᲠᲒᲔᲘ ᲛᲐᲒᲜᲘᲢᲡᲙᲘ, ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕ ᲛᲐᲠᲙᲔᲚᲝᲕᲘ, ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲠᲝᲕᲐ, ᲜᲐᲢᲐᲚᲘᲐ ᲔᲡᲢᲔᲛᲘᲠᲝᲕᲐ, ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲜᲙᲝ და სხვ. ბრიტანული The Times-ის მტკიცებით, სულ ახლახან, ეს ჩამონათვალი შეიძლებოდა გაზრდილიყო მორიგი მსხვერპლით. როგორც გამოცემა წერს, უკრაინაში რუსეთის შეჭრიდან ერთი კვირის განმავლობაში ადგილი ჰქონდა პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკიზე თავდასხმის, სულ ცოტა, სამ მცდელობას.

„ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ლიდერის მოსაკლავად კიევში შეგზავნეს ორი ჯგუფი – „ვაგნერის“ დაქირავებულები და ჩეჩნური სპეცრაზმი, თუმცა მკვლელობის ორივე მცდელობა აღკვეთილ იქნა უკრაინის სპეცსამსახურის მიერ. „ვაგნერის“ მებრძოლები შეძრწუნებული დარჩნენ იმით, თუ რამდენად ზუსტ ინფორმაციას ფლობდნენ უკრაინელები მათი გეგმების შესახებ. როგორც ჯგუფთან დაახლოებული წყარო ამბობს, ზელენსკის უსაფრთხოების სამსახურის ინფორმირებულობამ დივერსანტების ჯგუფს თავზარი დასცა. ასევე თავიდან იქნა აცილებული ზელენსკიზე თავდასხმა კიევის გარეუბანში, სადაც ლიკვიდირებულ იქნა ჩეჩენთა ჯგუფი“, – წერს ბრიტანული The Times-ი.

რუსეთის ფედერაციის ისტორიის ბოლო 30-წლიანი მონაკვეთის ზერელე ანალიზიც კი თვალსაჩინოს ხდის იმ მეთოდებისა და საშუალებების სისასტიკეს, რომლებსაც კრემლი ოპონენტების წინააღმდეგ იყენებს. ვოლოდიმირ ზელენსკისაგან განსხვავებით, არ გაუმართლა ასლან მასხადოვს, რომელიც ათზე მეტი წლის განმავლობაში ებრძოდა ჯერ ელცინის, შემდეგ კი პუტინის რუსეთს.

ᲐᲡᲚᲐᲜ ᲛᲐᲡᲮᲐᲓᲝᲕᲘ – 1997 წელს კანონიერად არჩეული ჩეჩნეთის პრეზიდენტი, მოკლეს 2005 წლის 8 მარტს სოფელ ტოლსტოი-იურტში, სადაც, რუსეთის ფედერალური ძალების მიერ ძებნილი, თავს აფარებდა მიწისქვეშა ბუნკერს, ერთ-ერთი ნათესავის სახლში.

„ასლან მასხადოვი ლიკვიდირებულ იქნა ᲤᲡᲑ-ს სპეცოპერაციის შედეგად“, – განაცხადა მაშინ ჩრდილოეთ კავკასიაში კონტრტერორისტული ოპერაციის ოფისის რეგიონული ოპერატიული შტაბის წარმომადგენელმა, გენერალ-მაიორმა ილია შაბალკინმა. სხვა ვერსია გაახმოვანა რამზან კადიროვმა, რომელიც მოსკოვის მიერ შექმნილი ჩეჩნეთის მთავრობის პირველი ვიცე-პრემიერი იყო.

„მასხადოვი დაიღუპა პირადი მცველის ხელით, იარაღის უყურადღებო მოპყრობის შედეგად“, – განაცხადა მაშინ კადიროვმა.

8 მარტსვე რუსეთის ყველა ფედერალურმა არხმა აჩვენა მოკლული მასხადოვის კადრები და სამხედროების ანგარიშები ჩრდილოეთ კავკასიაში წარმატებული ოპერაციის შესახებ.

ასლან მასხადოვზე ძებნა 2000 წლის გაზაფხულს გამოცხადდა. დაუსწრებლად ბრალი წაუყენეს შეიარაღებულ აჯანყებაში, უკანონო შეიარაღებული ჯგუფების ორგანიზებაში, ასევე სამართალდამცავების სიცოცხლის ხელყოფაში. 2005 წლის თებერვალში რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ მასხადოვს დააბრალა ტერორისტული თავდასხმების სერიის ორგანიზება, მათ შორის, 2004 წლის სექტემბერში ბესლანის მძევლების აყვანა, რაც არანაირად არ დასტურდება ფაქტებით.

საზოგადოება „მემორიალის“ წევრის, ალექსანდრ ჩერკასოვის სიტყვებით, **„მასხადოვი იყო სეპარატისტი, მაგრამ არასოდეს არ ყოფილა ტერორისტი. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება ტერორისტულ აქტებში მასხადოვის მონაწილეობის შესახებ არც ბუდენოვსკში, არც კიზლიარში, არც პერვომაისკიში, არც ნორდ-ოსტსა და არც ბესლანში“.**

რადიო თავისუფლების არქივში დაცულია ინტერვიუს ჩანაწერი, რომელშიც ასლან მასხადოვი სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე საუბრობს მოსკოვსა და ჩეჩნებს შორის სამშვიდობო შეთანხმების პირობებზე:

„რამდენჯერმე მივმართეთ რუსეთის ხელისუფლებას სამშვიდობო მოლაპარაკებების წინადადებებით. ჩვენ ვიბრძვით ჩეჩენი ხალხის გაქრობის საფრთხის აღმოსაფხვრელად. ეს საფრთხე რუსეთიდან მოდის. ჩვენ წინააღმდეგ აწარმოებენ ომებს, გვასახლებენ, გვიწოდებენ მოღალატეებს და ტერორისტებს, აფეთქებენ სახლებს მოსკოვსა და ვოლგოდონსკში და მერე ჩვენ გვაბრალებენ ამას. ვიდრე ჩეჩნები დარჩებიან რუსეთის კონსტიტუციის მოქმედების სფეროში, ეს საფრთხე ყოველთვის იქნება. ამიტომ, მხოლოდ საერთაშორისო სამართალს შეუძლია ჩვენი დაცვა. ყველა სხვა კუთხით ჩვენ მზად ვართ მოლაპარაკებებისთვის, მაგალითად, მოლაპარაკებებისთვის ეკონომიკის ერთობლივ მართვაზე, ერთობლივ თავდაცვაზე, საერთო ვალუტაზე, საერთო დიპლომატიაზე, ტერორიზმის წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაზე. სწორედ ამას ვეუბნებით რუსეთს. მაგრამ მათ ეს არ უნდათ. ვხედავ მხოლოდ ერთ მიზეზს – იმპერიულ ამბიციებს. ჩვენ იძულებულნი ვართ, ყველგან ვეძიოთ მეგობრები, რადგან რუსეთს არ სურს იყოს ჩვენი მეგობარი.

ომის შეწყვეტის მეორე გზა – პირობითი დამოუკიდებლობის პრინციპი. სამშვიდობო მოლაპარაკებები საერთაშორისო მონაწილეობით უნდა გაიმართოს. როდესაც ომი დასრულდება, რუსული ჯარები უნდა გაიყვანონ და საერთაშორისო თანამეგობრობამ უნდა შეიყვანოს სამშვიდობო ძალები ჩეჩნეთში. მოლაპარაკების პროცესს საერთაშორისო ადმინისტრაცია უნდა აკონტროლებდეს“.

ასლან მასხადოვამდე რუსეთის ხელისუფლებამ მოკლა ჩეჩნეთის პირველი და მეორე პრეზიდენტები: ჯოხარ დუდაევი და ზელიმხან იანდარბიევი.

ᲯᲝᲮᲐᲠ ᲓᲣᲓᲐᲔᲕᲘ – ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის და რუსეთ-ჩეჩნეთის პირველ ომში გამარჯვების მთავარი შემოქმედი – მოკლეს რუსეთის სამხედრო-საჰაერო ძალებმა 1996 წლის 21 აპრილს სატელეფონო საუბრის დროს, დაახლოებით 20:00 საათზე დასახლება გიხჩუს (გეხიჩუ) მახლობლად რუსეთის სადაზვერვო თვითმფრინავის მიერ გადაცემული კოორდინატების მიხედვით, ორმა თვითმფრინავმა დაბომბა ადგილი, სადაც დუდაევი იმყოფებოდა. ჩეჩნეთის პრეზიდენტის მეუღლემ, ალა დუდაევამ 1996 წელს რადიო თავისუფლებისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ჯოხარი მის თვალწინ დაიღუპა:

„ვუთხარით, რომ 100 პროცენტით ჩვენ გვიშენდნენ ცეცხლს, მაგრამ ცდილობდა დროის გათვლას. ისიც კი თქვა, რომ სადღაც 18 წუთი გამოდიოდა. ეგონა, რომ მოასწრებდა. შეგნებულად წავიდა რისკზე მისთვის საყვარელ ადამიანებთან ერთად. რადგან ვიცოდით, რომ სიცოცხლეს საფრთხეში იგდებდა, ამიტომ ვცდილობდით ჩვენი იქ ყოფნით დაგვეცვა, თუმცა გვესმოდა, რომ ეს დაცვა ვერაფერს შეცვლიდა“.

ჯოხარ დუდაევი – ლიდერი, რომლის გვერდის ავლა შეუძლებელი იყო, – ასე ახასიათებენ იჩქერიის პირველ პრეზიდენტს, რომელიც რუსეთის სპეცსამსახურებმა მრავალწლიანი ძალისხმევის შედეგად მოკლეს, თუმცა გამარჯვების ნაცვლად, რუსეთმა მიიღო მეტი წინააღმდეგობა. ბორის ელცინი იძულებული გახდა, კრემლში მიეღო ზელიმხან იანდარბიევი, რომელიც ვიცე-პრეზიდენტი და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი იყო.

ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ ᲘᲐᲜᲓᲐᲠᲑᲘᲔᲕᲘ – მოკლეს 2004 წლის 13 თებერვალს დოჰაში. ტერაქტის შედეგად (ააფეთქეს ავტომობილი) ასევე დაიღუპა იანდარბიევის დაცვის ორი თანამშრომელი, დაიჭრა იანდარბიევის 13 წლის ვაჟი.

ზელიმხან იანდარბიევი იყო ჩეჩნეთის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ჯოხარ დუდაევის შემდეგ, 1996-1997 წლებში.

ტერაქტიდან რამდენიმე დღის შემდეგ დუბაიში დააკავეს რუსული სპეცსამსახურის სამი თანამშრომელი, რომლებსაც ყატარის ხელისუფლება ზელიმხან იანდარბიევის მკვლელობის ორგანიზებაში ადანაშაულებდა. ყატარში იანდარბიევის მანქანის აფეთქებას ქვეყნის ისტორიაში პირველი ტერაქტი უწოდეს. მალევე ყატარის ხელისუფლებამ მიიღო კანონი ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ.

პოეტი ზელიმხან იანდარბიევი იყო ის ადამიანი, რომელმაც დაარწმუნა ჯოხარ დუდაევი, საბჭოთა ავიაციის გენერალი, სამშობლოში დაბრუნებულიყო და ჩეჩნეთის ეროვნულ მოძრაობას ჩადგომოდა სათავეში. დუდაევის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, იანდარბიევი იყო ვიცე-პრეზიდენტი და ჩეჩნეთის დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი.

ᲖᲔᲚᲘᲛᲮᲐᲜ ᲮᲐᲜᲒᲝᲨᲕᲘᲚᲘ, რომელიც ჩეჩნეთის მეორე ომში მეთაურობდა რუ-

სეთის ფედერალური ჯარების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმს, მოკლეს ბერლინში 2019 წლის 30 აგვისტოს. მკვლელმა ხანგოშვილს ოთხჯერ ესროლა მაყუჩიანი პისტოლეტიდან: სამჯერ ზურგში, ერთხელ თავში. მკვლელობამდე ერთი წლით ადრე, ზელიმხან ხანგოშვილზე თბილისშიც განხორციელდა შეიარაღებული თავდასხმა.

ბერლინის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით დააკავა 49 წლის ვადიმ კრასიკოვი, რომელმაც ევროპაში გამგზავრებამდე მომზადება გაიარა ფსბ-ს სპეცდანიშნულების რაზმის („ვიმპელის“) ბაზაზე. კრასიკოვი ასევე არაერთხელ ესტუმრა ფსბ-ს ანტიტერორისტულ სამმართველოს და არაერთხელ ელაპარაკა ტელეფონით „ვიმპელის“ მებრძოლებს.

ᲑᲝᲠᲘᲡ ᲜᲔᲛᲪᲝᲕᲘ — რუსული ოპოზიციის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, ყოფილი ვიცე-პრემიერი და გუბერნატორი, 2015 წელს მოკლეს მოსკოვში, კრემლის მახლობლად.

1990-იან წლებში ნემცოვი იყო პოსტსაბჭოთა რუსეთის „ახალგაზრდა რეფორმატორების“ პოლიტიკური ვარსკვლავი. გარდა იმისა, რომ იყო ვიცე-პრემიერი, გარკვეული პერიოდის განმავლობაში ითვლებოდა რუსეთის შესაძლო მომავალ პრეზიდენტადაც, მაგრამ 2000 წელს მან კი არა, პუტინმა შეცვალა ყოფილი პრეზიდენტი ბორის ელცინი. ნემცოვმა საჯაროდ დაუჭირა მხარი ამ არჩევანს, მაგრამ მისი კრიტიკა გამწვავდა მას შემდეგ, რაც პუტინმა მკვეთრად შეზღუდა სამოქალაქო თავისუფლებები.

ბორის ნემცოვი ორგანიზებას უკეთებდა ქუჩის მასობრივ აქციებს 2011 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გასაპროტესტებლად და წერდა სტატიებს კორუფციის შესახებ.

2015 წლის თებერვალში, მას შემდეგ, რაც უკრაინაში რუსეთის სამხედრო ჩარევის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მისაღებად ღია მოწოდებები გაავრცელა, ბორის ნემცოვს უცნობმა თავდამსხმელებმა ზურგში ოთხი ტყვია ესროლეს. ვლადიმირ პუტინმა თავისი ერთ-ერთი მთავარი ოპონენტის, ბორის ნემცოვის მკვლელობის გამოძიება „პირად კონტროლზე“ აიყვანა.

ᲡᲢᲐᲜᲘᲡᲚᲐᲕ ᲛᲐᲠᲙᲔᲚᲝᲕᲘ ᲓᲐ **ᲐᲜᲐᲡᲢᲐᲡᲘᲐ ᲑᲐᲑᲣᲠᲝᲕᲐ** — მოკლეს 2009 წელს: ადვოკატი სტანისლავ მარკელოვი, ადამიანის უფლებათა ცნობილი დამცველი, სასამართლოებში წარმოადგენდა ჩეჩნეთის მშვიდობიან მოქალაქეებს, რომლებმაც საკუთარ თავზე გამოცადეს

რუსეთის არმიის ძალადობა და სასტიკი მოპყრობა. მარკელოვი ასევე იცავდა პუტინზე დაწერილი კრიტიკული სტატიების ავტორებს, რომლებსაც ძალოვანი სტრუქტურები დევნიდნენ.

სტანისლავ მარკელოვი კრემლის მახლობლად მოკლა ნიღბიანმა პირმა. ანასტასია ბაბუროვა, რომელიც „ნოვაია გაზეტას“ ჟურნალისტი იყო, მაშინ მოკლეს, როდესაც სასიკვდილოდ დაჭრილი მარკელოვის დახმარებას ცდილობდა.

რუსეთის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მკვლელობის უკან ნეონაცისტური ჯგუფი იდგა.

ადვოკატი **სერგეი მაგნიტსკი** 2009 წლის ნოემბერში გარდაიცვალა პატიმრობაში, მას შემდეგ, რაც სასტიკად სცემეს და შემდეგ უარი უთხრეს სამედიცინო დახმარებაზე. სერგეი მაგნიტსკი მუშაობდა ბიზნესმენ უილიამ ბრაუდერთან და იძიებდა საგადასახადო თაღლითობის მსხვილ საქმეს.

სავარაუდოდ, მაგნიტსკი დააკავეს მას შემდეგ, რაც აღმოაჩინა მტკიცებულება, რომ თაღლითობაში პოლიციაც მონაწილეობდა. 2012 წელს, გარდაცვლილი მაგნიტსკი რუსეთის სასამართლომ დამნაშავედ ცნო გადასახადებისგან თავის არიდების საქმეში. 2013 წელს აშშ-ის მთავრობამ სპეციალური სანქციები დაუწესა 18 პირს და გამოაქვეყნა მათი ვინაობა, ე.წ. მაგნიტსკის სიის სახით, რომელშიც შედიან მაგნიტსკის საქმესთან კავშირში მყოფი რუსი მოხელეები, მათ შორის — შსს-ს გამომძიებლები ოლეგ სილჩენკო, ნატალია ვინოგრადოვა და საგამოძიებო იზოლატორის ხელმძღვანელი ივან პროკოპენკო.

ჟურნალისტი **ნატალია ესტემიროვა** იძიებდა ჩეჩნეთში გახშირებულ გატაცებებსა და მკვლელობებს. ჟურნალისტ ანა პოლიტკოვსკაიას მსგავსად, ესტემიროვა ჰყვებოდა სამოქალაქო პირებზე, მათ მძიმე ხვედრსა და თავზე დატეხილ უსამართლობაზე.

ნატალია ესტემიროვა საკუთარი სახლის მიმდებარე ქუჩიდან გაიტაცეს, რამდენჯერმე ესროლეს (მათ შორის თავში) და შემდეგ მისი სხეული მახლობელ ტყეში გადააგდეს. ნატალია ესტემიროვას მკვლელობის გამო არავინ დასჯილა.

ᲐᲜᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲙᲝᲕᲡᲙᲐᲘᲐᲛ, „ნოვაია გაზეტას“ კორესპონდენტმა, თავის წიგნში „პუტინის რუსეთი“, ბრალი დასდო ვლადიმირ პუტინს იმაში, რომ რუსეთი პოლიციურ სახელმწიფოდ გადააქცია. პოლიტკოვსკაია ბევრს წერდა ჩეჩნეთში გამეფებული ძალადობის შესახებ. ჟურნალისტს ცეცხლსასროლი იარაღიდან ესროლეს საკუთარი სახლის ლიფტში.

ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში ბრალდებული იყო ხუთი ადამიანი, მაგრამ მოსამართლემ დაასკვნა, რომ ეს იყო შეკვეთით ჩადენილი მკვლელობა, რისთვისაც გადახდილ იქნა 150 ათასი დოლარი (თუმცა დამკვეთის ვინაობა არ დადგინდა). ვლადიმირ პუტინმა უარყო კრემლის მონაწილეობა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაში და თქვა, რომ „მისი სიკვდილი თავისთავად უფრო მეტ ზიანს აყენებს დღევანდელ ხელისუფლებას როგორც რუსეთში, ასევე ჩეჩნეთში... ვიდრე მისი საქმიანობა“.

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠ ᲚᲘᲢᲕᲘᲜᲔᲜᲙᲝ — კგბ-ს ყოფილი ოფიცერი, რომელიც გარდაიცვალა მას შემდეგ, რაც ლონდონის სასტუმროში დალია პოლონიუმ-210-ით გაზავებული ჩაი. ბრიტანულმა გამოძიებამ დაადგინა, რომ ლიტვინენკო მოწამლეს რუსმა აგენტებმა, ანდრეი ლუგოვოიმ და დმიტრი კოვტუნმა, რომლებიც მოქმედებდნენ „სავარაუდოდ პრეზიდენტ პუტინის მიერ დამტკიცებული ბრძანებით“. რუსეთმა ეჭვმიტანილების ექსტრადიციაზე უარი თქვა. მეტიც, 2015 წელს ვლადიმირ პუტინმა ლუგოვოის მედალი გადასცა „სამშობლოსათვის გაწეული ღვაწლისთვის“.

რუსეთის დაზვერვის ფედერალური სამსახურის (ფსბ) დატოვების შემდეგ, ალექსანდრ ლიტვინენკო ხმამაღლა აკრიტიკებდა ყოფილ სამსახურს — ფსბ-ს, რომელსაც იმ დროს ვლადიმირ პუტინი ხელმძღვანელობდა. მოგვიანებით ლიტვინენკომ ფსბ ასევე დაადანაშაულა 1999 წელს რუსეთში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების სერიის ორგანიზებაში, რამაც ასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა და რასაც იმავე წელსვე მოჰყვა როგორც რუსეთის შეჭრა ჩეჩნეთში, ასევე პუტინის ხელისუფლებაში მოსვლა. ალექსანდრ ლიტვინენკო პუტინს ანა პოლიტკოვსკაიას მკვლელობაშიც ადანაშაულებდა.

ᲘᲣᲠᲘ ᲨᲩᲔᲙᲝᲩᲘᲮᲘᲜᲘ, ჟურნალისტი, რომელიც წერდა კრიმინალსა და კორუფციაზე ყოფილ საბჭოთა კავშირში, როდესაც ამის გაკეთება ჯერ კიდევ ძალიან რთული იყო. შჩეკოჩიხინი ასევე იძიებდა 1999 წლის სახლების აფეთქებებს „ნოვაია გაზეტასთვის“, როდესაც 2003 წლის ივლისში „იდუმალი ავადმყოფობა შეეყარა“.

იური შჩეკოჩიხინი გარდაიცვალა მოულოდნელად, შეერთებულ შტატებში გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე. ჟურნალისტის სამედიცინო დოკუმენტებსა და პათანატომიურ დასკვნას რუსეთის ხელისუფლებამ გრიფი „საიდუმლო“ დაადო.

ᲯᲘᲛᲨᲔᲠ ᲠᲔᲮᲕᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
რადიო თავისუფლების ჟურნალისტი 2003 წლიდან

ᲩᲔᲩᲔᲜᲘ ᲡᲐᲕᲔᲚᲔ ᲛᲔᲗᲐᲣᲠᲘ ᲛᲣᲡᲚᲘᲛ ᲩᲔᲑᲔᲠᲚᲝᲔᲚᲘ ᲩᲔᲩᲜᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜ�გᲣᲨᲔᲑᲡ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲡᲐᲭᲔᲠ ᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲔᲑᲡ

ᲨᲔᲘᲮ ᲛᲐᲜᲡᲣᲠᲘᲡ სახელობის ჩეჩნური ბატალიონის მეთაურმა, ამჟამად უკრაინაში მებრძოლმა მუსლიმ ჩებერლოელმა ჩეჩნებსა და ინგუშებს რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად უცხოელთა ლეგიონში გაწევრებისკენ მოუწოდა. მის მიმართვას თავის ფეისბუქ-გვერდზე ჩეჩნეთის ექს-პრეზიდენტ ასლან მასხადოვის ვაჟი ანზორი ავრცელებს.

„ახლა უკრაინაში მთელი პროგრესული და თავისუფალი კაცობრიობის ბედი წყდება და არც ერთ თავისუფლებისმოყვარე ადამიანს უფლება არ აქვს, განზე დარჩეს. მოგიწოდებთ, ჩაებათ უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის გადაწყვეტილებით ჩამოყალიბებული უცხოელთა ლეგიონის რიგებში. ეს ფორმირება სრულად ემორჩილება უკრაინის უშიშროების სახელმწიფო სამსახურს და ყველა მოხალისეს, განურჩევლად ეროვნებისა, გარანტირებული აქვს უკრაინაში ლეგალური ყოფნა“, — აცხადებს მუსლიმ ჩებერლოელი.

იგი „კადიროველებსა“ და სხვა იმ კავკასიელებსაც მიმართავს, რომლებიც „უკრაინაში რუსი ჯარისკაცის ფორმაში ჩაცმულები ადამიანთა მკვლელობებისთვის იმყოფებიან“: „ჩაბარდით და ამით გადაირჩინეთ სიცოცხლეცა და ხალხისა და ღმერთის წინაშე წაბილწული სახელებიც! არ გამოვრიცხავ თქვენს შორის ისეთების ყოფნას, ვინც აქ ძალდატანებით ჩამოიყვანეს, გულის სიღრმეში კი ომის წინააღმდეგია. ამიტომაც მოგიწოდებთ, მიიღოთ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება — ჩაბარდეთ. მით უფრო, რომ რუსი სამხედროები მასობრივად ბარდებიან, ხედავენ რა ამ ომის სრულ უპერსპექტივობას. ხოლო თუ მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ ჯალათის წინაშე დადებული ბინძური და სამარცხვინო ფიცის გამო ასევე ბინძური ხელფასის ასაღებად ბრძოლას გააგრძელებთ, სიცოცხლეს დაასრულებთ მორგში!“.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: შეიხ მანსურის სახელობის ბატალიონი 2014 წელს, დონბასის ომის დროს ჩამოყალიბდა და ფორმირებისას უმთავრესად ჩეჩნებისგან შედგებოდა, მოგვიანებით კი მასში სხვა ეროვნებების წარმომადგენლებიც გაერთიანდნენ. უკრაინის არმიის მხარეს ამ დროისთვის ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენის ჯოხარ დუდაევის სახელობის მოხალისეთა რაზმებიც იბრძვიან.

ᲠᲣᲡᲔᲗᲛᲐ ᲐᲦᲘᲐᲠᲐ...

რუსეთმა აღიარა, რომ უკრაინის წინააღმდეგ ომში წვევამდელებს გზავნის. განცხადება თავდაცვის სამინისტროს პრესსპიკერმა, იგორ კონოშენკოვმა გააკეთა. მან ასევე დაადასტურა, რომ უკრაინელებს რამდენიმე წვევამდელი ჰყავთ დატყვევებული.

ყაზახეთის ხელისუფლება საქმით უზრუნველჰყოფს ქვეყანაში სინდისის თავისუფლებას



ყაზახეთში ორი ძირითადი სარწმუნოებაა გავრცელებული — ისლამი და მართლმადიდებლური ქრისტიანობა, მაგრამ არა მხოლოდ ეს ორი რელიგია სარგებლობს პრაქტიკაში სახელმწიფოს მიერ შექმნილი კომფორტული პირობებით, არამედ სხვა რელიგიური მიმდინარეობებიც, რომელთაც არცთუ ისე მრავალრიცხოვანი მიმდევრები ჰყავთ.

რელიგიის სფეროში ყაზახეთის სახელმწიფო გააზრებულ პოლიტიკას ანხორციელებს. შექმნილია სამოქალაქო სახელმწიფოს იშვიათი მოდელი, რომელიც რელიგიათშორისი მშვიდობისა და თანხმობის გამყარებაში აქტიურ როლს ასრულებს.

სახელმწიფო უზრუნველჰყოფს სინდისის თავისუფლებას, რელიგიათა თანასწორუფლებიანობას, მათ მიმართ პოლიტიკური ხელისუფლების ნეიტრალობას. ურთიერთობათა სისტემა სახელმწიფოსა და რელიგიებს შორის იმავე პრინციპებზე დგას, რა პრინციპებსაც საზოგადოებრივი ურთიერთობების დანარჩენი ნაწილი ეყრდნობა. რელიგიური ორგანიზაციები ყაზახეთში წარმოადგენენ საზოგადოების შემადგენელ ნაწილს, მორწმუნე ადამიანები, შესაბამისად, სრულუფლებიანი მოქალაქეები არიან.

ყაზახეთი მრავალკონფესიური ქვეყანაა და სახელმწიფო თავის სასიცოცხლო ინტერესებს შორის განიხილავს ადამიანის უფლებას აღმსარებლობის თავისუფლად გამოხატვაზე. ეს ქვეყნის დემოკრატიული და სამართლებრივი განვითარების ერთ-ერთ საკვანძო მომენტად განიხილება.

თავისი ფუნქციონირების ფარგლებში, ყაზახური სახელმწიფო ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა სფეროში მიღებული ძირეული საერთაშორისო აქტებით. ამ სახელმწიფოს ნორმატიული ბაზა, რომელიც რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლებას მოიცავს, მსოფლიო დემოკრატიულ სტანდარტებს შეესაბამება, ევროპული სტანდარტების ჩათვლით.

ყაზახეთის რესპუბლიკის კანონმდებლობა გამოხატავს საზოგადოების სულიერ სფეროში მიმდინარე პროცესებს და თან იღვწის, შეესაბამებოდეს თანამედროვე მსოფლიოს გამოწვევებსა და საფრთხეებს. ერთი მხრივ, იქმნება ხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმი მორწმუნეთა და რელიგიურ გაერთიანებათა სარწმუნოებრივი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად, მეორე მხრივ კი, იზღუდება დესტრუქციული გაერთიანებების გავლენა, რომლებიც რელიგიურობის ნიღაბს იყენებენ სისხლის სამართლის დანაშაულებათა დასაფარად. მაგრამ, ამ მოვლენასთან სახელმწიფოს ბრძოლა არ გადადის მორწმუნეთა რელიგიურ დევნაში.

რელიგიები ყაზახეთში შედგებიან სხვადასხვა ეთნოსების, ენობრივი, კულტურული და სოციალური ჯგუფებისგან. ეს ჯგუფები ასევე სხვადასხვა აღმსარებლობისანი არიან, ერთმანეთისგან განსხვავდებიან საკულტო პრაქტიკითა და გარესამყაროზე შეხედულებებით.

რელიგიური თავისუფლების მდგომარეობა ადგილობრივ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაშია მოყვანილი. 2011 წლის 13 ოქტომბერს მიღებული კანონი მიმართულია მათ შორის, ქვეყანაში უსაფრთხოებისა და სტაბილობის უზრუნველყოფისკენ.

ხელისუფლების სიფხიზლე უსაფუძვლო როდია. კანონის მიღების უშუალო მიზეზი 2011 წელს მომხდარი ტერორისტული აქტები გახდა. გრძელდება ისლამურ ტერორისტულ ორგანიზაციებში მოქალაქეების გაწევრების პრაქტიკა. მაგალითად, 2013 წლის შემოდგომაზე ინტერნეტში განთავსდა ვიდეორგოლი, რომელზეც ყაზახური ოჯახი იყო ასახული, სირიაში ჩასულ შეიარაღებულ რელიგიურ რადიკალთა შორის. ამიტომ, ყაზახეთის მთავრობა ცდილობს, უსაფრთხოების საკითხები საკანონმდებლო დონეზე გადაწყვიტოს. 2022 წლის იანვრის ტრაგიკულმა მოვლენებმა, როდესაც ქვეყანა საერთაშორისო ტერორისტებისა და რელიგიური ფანატიკოსების თავდასხმის ობიექტი გახდა, ამ მიდგომის სისწორეს ადასტურებს.

თანამედროვე ყაზახური საზოგადოების ცხოვრებაში რელიგიური ფაქტორის წონადობა ეჭვს არ იწვევს. ქვეყანაში 18 კონფესია და 3816 ოფიციალურად დარეგისტრირებული რელიგიური გაერთიანებაა. რელიგიის გავლენა სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე იზრდება, რელიგიური გაერთიანებები მოსახლეობის ფართო ფენების ყოველდღიურობაში უფრო და უფრო მეტ ადგილს იკავებენ, ფართოვდება რელიგიური განათლების სფერო, მყარდება მისი საფინანსო და მატერიალური ბაზა.

ყაზახეთი ამჟამად წარმოადგენს კონფესიურ პალიტრას. სინდისისა და აღმსარებლობის თავისუფლება განსაკუთრებულ აქტუალობასა და აზრობრივ დატვირთვას იძენს. ეს ფასეულობები მოქალაქეებს არა მხოლოდ იმის გარანტიას აძლევს, იყვნენ მორწმუნენი, არამედ, ასევე, უზრუნველჰყოფს თანხმობას ყაზახურ საზოგადოებაში.

სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებების წარმომადგენლები ყაზახეთში დისტანციას იკავებენ ექსტრემისტული მიმდინარეობებისგან. ისინი თავიანთ რელიგიურ პრაქტიკაში ყურადღებას ამახვილებენ მშვიდობისა და აღმშენებლობის იდეოლოგიაზე, ყაზახეთის უკეთესი მომავლის სახელით.

ამას, სხვა ფაქტებთან ერთად, მოწმობს „ყაზახეთის ევანგელური რწმენის ქრისტიანთა კავშირის“ წარმატებული მუშაობის გამოცდილებაც. აღნიშნული გაერთიანების ხელმძღვანელმა იური შუმაევმა ახლახან დაწერა ინტერნეტ-ქსელ „ინსტაგრამში“, რომ პრეზიდენტ ტოკაევის ქმედებები მხარდაჭერას იმსახურებს; შუმაევმა მოუწოდა ყაზახეთის მცხოვრებთ, სახელმწიფოს მეთაურს გვერდში დაუდგნენ მშვიდობის აღდგენის საქმეში, რაც იანვრის ტრაგიკული მოვლენების შემდეგ გახდა აქტუალური.

„ყაზახეთის ევანგელური რწმენის ქრისტიანთა კავშირი“ წარმოადგენს ქვეყნის პროტესტანტული ეკლესიების გაერთიანებას, რომელსაც 10 ათასზე მეტი წევრი ჰყავს. თავისი შექმნის შემდეგ, კავშირმა არაერთხელ მოახდინა დიალოგის პლატფორმების განხორციელება, სადაც სხვადასხვა რელიგიური გაერთიანებები და სახელმწიფო აწარმოებდნენ დიალოგს ქვეყანაში მშვიდობისა და თანხმობის მხარდასაჭერად. ამ რელიგიურმა ორგანიზაციამ აქტიური სამოქალაქო პოზიცია დაიკავა გამომდინარე აქედან, დახმარებას უწევს ხელმოკლე და მრავალშვილიან ოჯახებს.

2018 წელს, „ყაზახეთის ევანგელური რწმენის ქრისტიანთა კავშირის“ წარმომადგენელი ეუთოს აღმსარებლობის თავისუფლების საკითხების კონფერენციაზე, ვარშავაში, გამოვიდა სიტყვით და მაღალი შეფასება მისცა ყაზახური სახელმწიფოსა და სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენლებს შორის ურთიერთქმედების დონეს. 2021 წლის დეკემბერში, კავშირმა და ინფორმაციისა და საზოგადოებრივი განვითარების სამინისტროს რელიგიათა საქმეების კომიტეტმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის მემორანდუმს, მოსახლეობის რელიგიური ნაწილის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ასე და ამრიგად, ყაზახეთის ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია ქვეყანაში კონფესიათშორისი მშვიდობის, თანხმობის შენარჩუნებაზე და, ამასთან, არც ერთ რელიგიურ მიმდინარეობას არ ენიჭება უპირატესობა.

მურად ბეგიაშვილი

დახურეთ ცა, დახურეთ და შეაჩერეთ დაბომბვა!

„თუ თქვენ გაერთიანებული ხართ ნაცისტებისა და ამ ტერორის წინააღმდეგ, უნდა დახუროთ ცა უკრაინის თავზე. ეს რამდენჯერმე ვითხოვე და მილიონჯერ გავიმეორებ. დახურეთ ცა, დახურეთ და შეაჩერეთ დაბომბვა“, — განაცხადა უკრაინის პრეზიდენტმა Sky News-თან საუბრისას.

რუსეთთან პირდაპირი დაპირისპირების შემთხვევაში, სიტუაციის პოტენციური გაუარესების გამო, დასავლეთის შეშფოთების შესახებ დასმული კითხვის პასუხად, ვოლოდიმირ ზელენსკიმ თქვა: **„ახლა ძალიან ცუდი მდგომარეობაა და მომავალში ძალიან გვიან იქნება“.**

ზელენსკიმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მისი ქვეყანა დამოუკიდებლად ვერ შეაჩერებს ომს რუსეთის წინააღმდეგ და რომ დასავლეთის ქვეყნებმა უნდა იმოქმედონ ახლა, **„ვიდრე ძალიან გვიან არაა“.**

ნატო არ აპირებს ამ ომში ჩართვას!!!

ნატო არ გახდება უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტის მონაწილე, იმიტომ რომ ეს მესამე მსოფლიო ომში შეიძლება გადაიზარდოს. ამის შესახებ ესპანურ ტელეარხ La Sexta-სთან ინტერვიუში საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ევროკავშირის უმაღლესმა კომისარმა ჟოზეფ ბორელმა განაცხადა. ჟურნალისტის კითხვაზე, ხომ არ წარმოადგენს კონფლიქტის მოგვარების ერთ-ერთ შესაძლებლობას ნატოს ჩართვა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში, ბორელმა განაცხადა, რომ ასეთი შესაძლებლობა არც კი განიხილება.

„ნატო არ აპირებს ამ ომში ჩართვას. ამის შესახებ განაცხადა ალიანსის გენერალურმა მდივანმაც და აშშ-ის პრეზიდენტმაც. ეს იქნებოდა მესამე მსოფლიო ომი, ბირთვული ომი. ვცდილობთ არ დავუშვათ, რომ რაიმე ინციდენტმა ამისკენ გვიბიძგოს“, — განაცხადა ბორელმა.

შეწყვიტეთ სისხლისღვრა, გაიყვანეთ ჯარები!

გერმანიის კანცლერმა, ოლაფ შოლცმა რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს მოუწოდა, უკრაინაში ომი შეწყვიტოს.

„რუსეთის პრეზიდენტს მოვუწოდებ: შეწყვიტეთ სისხლისღვრა, გაიყვანეთ ჯარები! ეს საზარელი კატასტროფაა უკრაინელი ხალხისთვის, თუმცა რუსი ხალხიც იტანჯება ამ ომის გამო“, — აღნიშნა გერმანიის კანცლერმა. ოლაფ შოლცმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ახლა საჭიროა ცეცხლის შეწყვეტა და გერმანიის მთავრობა საერთაშორისო პარტნიორებთან მჭიდრო კოორდინაციაშია, რათა კრიზისის დიპლომატიური გზით გადაჭრის გზები გამონახოს.

„ომის ზონაში ხალხის ცხოვრება აუტანელია. კრიზისის რეგიონში ხალხის ტანჯვა შოკში გვაგდებს. რუსეთის უკრაინაზე თავდასხმა საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა. ევროპაში ახალი ეპოქა დადგა. მსოფლიო, რომელშიც ვცხოვრობთ, უკვე ისეთი არ არის, როგორც ადრე იყო“, — აღნიშნა კანცლერმა.

ბრიტანეთი რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს გაამკაცრებს

დიდი ბრიტანეთის **პრემიერ-მინისტრმა, ბორის ჯონსონმა უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკისთან საუბრისას განაცხადა, რომ სანქციებს გაამკაცრებს და რუსეთს მაქსიმალურ ეკონომიკურ ფასს დაუწესებს.**

ბორის ჯონსონმა ვოლოდიმირ ზელენსკის ინფორმაცია მიაწოდა იმ სამუშაოს შესახებ, რომელსაც დიდი ბრიტანეთი ახორციელებს იმ სამხედრო აღჭურვილობის უზრუნველსაყოფად, რომელიც უკრაინას სჭირდება თავის დასაცავად. **„ორივე ლიდერმა დაგმო მარიუპოლის სამშობიაროზე შემზარავი თავდასხმა და რუსული ძალების მიერ ჰუმანიტარულ დერეფნებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებების შეუსრულებლობა. პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ პუტინი საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს უგულებელყოფს“,** — ნათქვამია ბრიტანეთის პრემიერის ოფისის განცხადებაში. ამასთან ერთად ნობრიტანეთის არმია მცირე რაოდენობის ბრიტანელ ჯარისკაცებს მიმართავს, რომლებიც, სავარაუდოდ, უკრაინაში გაემგზავრნენ, და ქვეყანაში დაუყოვნებლივ დაბრუნებისკენ მოუწოდებს. ამის შესახებ ბრიტანეთის არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ტელეკომპანია **CNN**-ს განუცხადა..

„გვაქვს ინფორმაცია მცირე რაოდენობის ცალკეულ ჯარისკაცებზე, რომლებიც არ დაემორჩილნენ ბრძანებებს და შესაძლოა, უკრაინაში პირადი სტატუსით გაემგზავრნენ. ჩვენ აქტიურად და მტკიცედ მოვუწოდებთ მათ, დაბრუნდნენ დიდ ბრიტანეთში“, — აღნიშნა ბრიტანეთის არმიის ოფიციალურმა წარმომადგენელმა. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებაში ასევე ნათქვამია, რომ პერსონალს ეკრძალება უკრაინაში გამგზავრება შემდგომ გაფრთხილებამდე, ხოლო უკრაინაში ჩასულ სამხედრო პერსონალს დისციპლინური და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისრება.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი
სესხის # 3520-GEO
პროექტის # 50064
დავალების სახელწოდება: პროექტის განმახორციელებელი ადგილობრივი სპეციალისტი
საიდენტიფიკაციო # BBRP/CS/ICS-13

საქართველომ აზიის განვითარების ბანკისგან მიიღო დაფინანსება **ბათუმის შემოვლითი გზის პროექტისათვის.** აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს ინდივიდუალურ კონსულტანტებს (კონსულტანტებს) ინტერესის გამოსახატად შემდეგი მომსახურების გასაწევად: **პროექტის განმახორციელებელი ადგილობრივი სპეციალისტი.**

დავალების მიზანია:

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის საერთაშორისო შესყიდვების სამსახურის დახმარება საქონლის, სამუშაოების და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვების, კონტრქტების მენეჯმენტის, მონიტორინგისა და შეფასების საკითხებსა და პროექტების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, აზიის განვითარების ბანკის მსესხებლების შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით ADB Procurement Guidelines (2015, as amended from time to time) and the Guidelines on the Use of Consultants (2013, as amended from time to time). კერძოდ, კონსულტანტი დახმარებას გაუწევს საავტომობილო გზების დეპარტამენტს ქვემოთ ჩამოთვლილი დავალებების შესრულებაში:

შესყიდვებთან დაკავშირებული მოვალეობები:

- შესყიდვების პროცედურების განხორციელება შესყიდვების გეგმისა და აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების რეგულაციების მიხედვით;
- შესყიდვების ზოგადი და კონკრეტული შეტყობინებების, ტენდერის მონაწილეების მოწვევების, ინტერესთა გამოხატვის განცხადებების და სხვა დამხმარე დოკუმენტაციის მომზადება;
- სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და შესწორება საჭიროების მიხედვით;
- ტექნიკური დავალებების მომზადებაში მონაწილეობა;
- იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვების პროცედურა საჭიროებს აზიის განვითარების ბანკის წინასწარ თანხმობას, აზიის განვითარების ბანკში დოკუმენტაციის წარდგენის კოორდინაცია, თანხმობის მიღების მეთვალყურეობა შესყიდვების პროცესის სხვადასხვა დონეებზე და შემდგომი ქმედებების განხორციელება;
- აზიის განვითარების ბანკის მიერ შესყიდვებთან დაკავშირებით დასმულ სხვადასხვა საკითხებზე დროული პასუხების გაცემის მონიტორინგი. საკონსულტაციო მომსახურების შემთხვევაში, წინადადებების წარმოდგენის მოწვევის გავრცელების შემდეგ კონსულტანტების შემდგომი ქმედებების მონიტორინგი, მათი მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით;
- პროექტების წლიური შესყიდვების გეგმების მომზადება და განახლება, ისევე როგორც დეტალურად გაწერილი ბიუჯეტის მქონე საკონტრაქტო პაკეტების მომზადება (სავარაუდო ღირებულებების ჩათვლით) საქონლის, საკონსულტაციო მომსახურებისა და არასაკონსულტაციო მომსახურებისთვის.
- შესყიდვების განხორციელების მონიტორინგი და შესყიდვების გეგმების განახლება საჭიროების შემთხვევაში;
- საკონსულტაციო მომსახურებისა და სამუშაობის შესყიდვის განხორციელება;
- საქონლის შესყიდვა საჭირობისამებრ
- საქონლისა და საკონსულტაციო მომსახურების სტატუსების შესახებ ანგარიშების დროული მიღების უზრუნველყოფა;
- პროექტთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტის სათანადოდ შენახვა;
- ტენდერის გახსნის და შეფასების პროცედურებში მონაწილეობა და შესაბამისი რეგულაციების დაცვა კონტრაქტების მინიჭებისას;
- პროექტის განხილვებისა და შესყიდვების აუდიტებში მონაწილეობა;
- კონტრაქტებთან და შესყიდების პროცედურებთან დაკავშირებულ დავებში დახმარების გაწევა.

პროექტის მართვასთან დაკავშირებული მოვალეობები:

- მშენებლობის ზედამხედველის მიერ მომზადებული ანგარიშებისა და სხვა შესაბამისი ინფორმაციის რეგულარულად მოპოვება;
- მშენებლობის ზედამხედველის მიერ წარმოდგენილი ანგარიშების რეესტრის წარმოება;
- წარმოდგენილი ინფორმაციის (ზედამხედველისა და კონტრაქტორის მიერ) შეჯამება და ანალიზი დამკვეთის მიერ მისი განხილვის მიზნით;
- საველე მოვლინებებში მონაწილეობა სამუშაოების დადგენილი გეგმის მიხედვით მიმდინარეობის მონიტორინგის მიზნით;
- სამუშაოების მონიტორინგის მონაცემთა ბაზის მომზადება და რეგულარული განახლება;
- მშენებლობის ზედამხედველისთვის მონიტორინგის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- კონტრაქტის ცვლილებების მომზადება;
- წარმოსადგენილი დოკუმენტაციის დროული მოწოდების მონიტორინგი;
- პროექტის სახსრების ხარჯვის პროგნოზების მომზადება;
- დამკვეთის დახმარება გახარჯვის პროცედურებში.

დავალების საავარაუდო ხანგრძლივობაა 12 თვე.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა კონკურსში მონაწილეობის მიზნით ინტერესი უნდა გამოხატონ შემდეგი ბმულის მეშვეობით: **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=177202** არაუგვიანეს 2022 წლის 16 მარტისა.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება **ინდივიდუალური კონსულტანტის შერჩევის მეთოდით** აზიის განვითარების ბანკის შესყიდვების სახელმძღვანელოს მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია ბმულზე: **http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers**

კონსულტანტისათვის მოთხოვნილი კვალიფიკაცია:

- უმაღლესი განათლება ფინანსების, იურიდიულ, სახელმწიფო მართვის, საერთაშორისო ურთიერთობების და სხვა შესაბამის სფეროში;
- სასურველია 5 წლიანი გამოცდილება აზიის განვითარების ბანკისა და/ან სხვა დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების შესყიდვების განხორციელებაში (აზიის განვითარების ბანკის პროექტების შესყიდვების გამოცდილება ჩაითვლება უპირატესობად);
- FIDIC ის კონტრაქტების გამოცდილება (FIDIC ჰარმონიზებული და/ან 2017 წლის ვერსიები ჩაითვლება უპირატესობად);
- შესყიდვების ინსტიტუციური, ტექნიკური და კომერციული ასპექტების კარგი ცოდნა;
- გუნდური მუშაობის კარგი უნარი;
- სალაპარაკო და წერილობითი ქართული და ინგლისური ენების კარგი ცოდნა;
- კომპიუტერული უნარები მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება: Word, Excel, PowerPoint;
- ანგარიშგების კარგი უნარი, კომუნიკაბელურობა.

REQUEST FOR EXPRESSION OF INTEREST

Georgia
Batumi Bypass Road Project
Loan No. 3520-GEO
Project No. 50064
Assignment Title: NATIONAL PROJECT IMPLEMENTATION SPECIALIST
Reference No: BBRP/CS/ICS-13

Georgia has received financing from the Asian Development Bank towards the cost of **Batumi Bypass Road Project** consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia (RDMRDI) now invites Individual Consultants (Consultants) to express their interest in providing the following services**: National Project Implementation Specialist.**

The objective of the assignment is to:

Assist RDMRDI's Foreign Projects'/International Procurement Division in activities related to procurement of goods, works and consultancy services to be implemented according to ADB Procurement Guidelines (2015, as amended from time to time) and the Guidelines on the Use of Consultants (2013, as amended from time to time), in contract management, monitoring and evaluation issues and other aspects related to project management. In particular, the Consultant will assist the RDMRDI with carrying out the tasks detailed below, and other tasks as necessary:

Procurement related duties:

- Ensuring that procurement procedures are carried out in accordance with the Procurement Plan and Asian Development Bank Guidelines;
- Preparing General Procurement Notice (GPN), Specific Procurement Notices (SPNs), Invitation for Bids (IFBs), Request for Expressions of Interest (REOls) and other solicitation documents whenever required;
- Preparing and amending bidding documents as needed;
- Contribute to preparation of Terms of References (ToR);
- In case of procurement actions requiring ADB's "No Objection", coordinating dispatch of procurement document to ADB, monitoring ADB's response time on issuing "No Objections" at different levels of procurement process and following up accordingly;
- Monitoring and ensuring timely responses to procurement questions raised by the ADB. For services following up with the shortlisted consultants within 10 days of RFP dispatch, to ensure their participation in the selection exercise;
- Preparing and updating the Projects' Annual Procurement Plan and Budget Detailed contract packages (including estimated cost) for goods, consultancy services and non-consulting services, the procurement/selection methods and processing times until completion of each procurement activity;
- Monitoring procurement implementation of and update of the Procurement Plan whenever it becomes necessary to do so;
- Carrying out procurement of Civil Works and Consultancy Services;
- Carrying out procurement of materials and equipment as required;
- Ensuring timely receipt of the goods and consultant's status reports;
- Maintaining all correspondence, bidding documents, evaluation reports and other documents related to the project;
- Participating in bid/proposal opening sessions, bid and proposal evaluations and ensuring that the appropriate guidelines are followed to arrive at the recommendations for award of Contracts;
- Participating in procurement audits and reviews of the Project;
- Assisting in dealing with claims, bid challenges and litigations relating to contracts and procurement.

Project Management related duties:

- Collect the reports submitted by Supervision Engineer and any other relevant information on a regular basis;
- Maintain the register of reports submitted by Supervision Engineer;
- Summarize and analyze the collected information (from Engineer and Contractor) for review by the Employer;
- Carry out project site visits for monitoring of the progress of works in accordance with agreed targets;
- Develop and regularly update the database of monitoring activities;
- Provide Supervision Engineer with feedback, based on monitoring results;
- Preparation of contract amendments;
- Monitor the submission of deliverables;
- Preparations of the disbursement forecast;
- Assist the Employer in disbursement procedures.

The estimated duration of assignment is 12 months.

Expressions of Interest (EOI) will be submitted in the English language by means of the ADB web- page **https://selfservice.adb.org/OA_HTML/adb/xxcrs/jsp/ADBCsrnFwd.jsp?sel=177202** not later than March 16, 2022

Selection will be done according to the individual consultant selection method provided in Guidelines on The Use of Consultants by Asian Development Bank and Its Borrowers (available at **http://www.adb.org/documents/guidelines-use-consultants-asian-development-bank-and-its-borrowers)** on the basis of substantial responsiveness of the best evaluated CV with respect to compliance with technical and other related aspects specified in the Terms of Reference.

Required Qualification of the Consultant:

- A university degree or professional qualification in finance, law, public administration, international relations or any relevant field;
- Preferably 5 years of experience of working in procurement-related activities for the Asian Development Bank and/or other Multilateral Development Banks (MDB) funded projects (working experience under ADB financed projects will be an advantage);
- Experience of working on FIDIC contracts (experience with MDB Harmonized and/or FIDIC 2017 versions will be an advantage);
- Good knowledge of the institutional, technical and commercial aspects of procurement;
- Proven team working skills;
- Superior verbal and writing communication skills in English and Georgian languages;
- Proficiency in standard desktop computer applications, including but not limited to Word, Excel, PowerPoint;
- Good reporting and interpersonal skills.

◎ ტრიუმფი

ბულგარულ ხალიჩაზე



სოსო ჯაბიძის გაწვრთნილმა საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა დიდი წარმატებით იასპარეზა პლოვდივში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე, სადაც 10-წევრიანმა დელეგაციამ 7 ფინალში მიიღო მონაწილეობა და სამშობლოში 8 მედლით დაბრუნდა:

„ოქრო“ – გიორგი შოთაძე (63), დიეგო ჩხიკვაძე (67), გიორგი ჩხიკვაძე (72), გიორგი ქაცანაშვილი (97); **„ვერცხლი“** – ირაკლი ძიმისტარიშვილი (60), დავით სოლოღაშვილი (77), ბექა გურული (82); **„ბრინჯაო“** – გიორგი ცოფურაშვილი (130).

აღსანიშნავია, რომ კონტინენტური ფორუმი პირველად ჩატარდა სანქცირებულ რუს ფალავანთა გარეშე.

დღეს ხალიჩაზე „თავისუფლები“ გამოვლენ.

◎ ლეგიონერი

ღირსეულად გააცილეს

თორნიკე შენგელია რომ კარიერას „ვირტუს ბოლონიაში“ გააგრძელებს, უკვე გაუწყეთ, მაგრამ არანაკლებ აღსანიშნავია ის ღირსეული სტრიქონები, რომლითაც ქართველი ლეგიონერი ცსკა-მ გააცილა.

ანდრეი ვატუტინი – კლუბის პრეზიდენტი: „თორნიკეს მოწვევისას გვეიმედებოდა მისი მებრძოლი ხასიათისა და ქარიზმატულობის. მან მოლოდინი გაგვიმართლა. შეგახსენებთ, რომ ცსკა-ში მის გადმოსვლას დიდი კრიტიკა მოჰყვა. შენგელია მომავალი თაობისთვის სამაგალითოა პროფესიონალიზმით, ოჯახთან, პარტნიორებთან, მეტოქეებთან ურთიერთობით, სამშობლოს სიყვარულით. ისლა დაგვრჩენია, გაგებით მოვეკიდოთ მის საზოგადოებრივ და ოჯახურ პოზიციას. დარწმუნებული ვარ, ასეთ კალათბურთელზე ბევრი კლუბი ოცნებობს, თორნიკე კი ახალ გუნდში თავს საუკეთესოდ წარმოაჩენს“.

დიმიტრის იტუდისი – გუნდის მთავარი მწვრთნელი: „საოცარი ორი წელი იყო. სამწუხაროდ, უკრაინის ომის გამო თანამშრომლობა უდროოდ შეწყდა. წარმატებებს ვუსურვებ თორნიკეს. ასეთ ადამიანთან და კალათბურთელთან ურთიერთობა დიდი პატივი იყო“.

ბუნებრივია, მადლიერება შენგელიამაც გამოხატა: „მეამაყება, რომ ასეთ დიდოსტატთა გვერდით ვვარჯიშობდი და ვთამაშობდი. სამწუხაროა, რომ ჩემი წასვლა კალათბურთს არ უკავშირდება, თუმცა ცხოვრებაში დგება ხოლმე მსგავსი წუთები“...

საფეხბურთო მოზაიკა

როგორც მოგეხსენებათ, ევრო – 2024-ს გერმანია უმასპინძლებს, 2028 წლის კონტინენტური ფორუმის მისაღებად კი ერთად იბრძოდნენ რუსეთ-თურქეთისა და დიდ ბრიტანეთ-ირლანდიის წყვილები.

საკითხს ნათელი უკრაინაში დაწყებულმა ომმა მოჰფინა, რის შედეგადაც ბოსფორისპირელები აღარ აპირებენ ჩრდილოელებთან პარტნიორობას ამ ქვეყნის მიმართ უეფას მიერ გამოტანილი სანქციების გამო, რაც ავტომატურად ნიშნავს, რომ პირველად 32 გუნდი ფეხბურთის სამშობლოში, შოტლანდიაში, უელსში, ჩრდილოეთ ირლანდიასა და ირლანდიაში შეიკრიბება.

* * *

პირდაპირობით გამორჩეულმა კატალონელმა მწვრთნელმა **ხოსეპ გვარდიოლამ** ამჯერადაც ღიად გამოთქვა საკუთარი მოსაზრება სლავურ სამყაროში განვითარებული მოვლენებისადმი და აქცენტი ნატოსა და ევროპელ ლიდერთა სანახევრო ზომებზე გააკეთა:

„პოლიტიკოსებს შეეძლოთ თავიდან აეცილებინათ ეს ყველაფერი, მაგრამ ვხედავთ, რომ ომი გრძელდება, რადგან მათ მარცხი განიცადეს. დიახ, დასავლეთმა ვერ მოაგვარა ეს პრობლემა, რის გამოც ზარალდებიან უდანაშაულო ადამიანები და ამას ბოლო არ უჩანს. მოკლედ, ნატომ და მისმა მოკავშირეებმა ალიყური იწვნიეს“.

ამავე დროს, „სიტის“ თავკაცმა მადლიერება გამოხატა პრემიერლიგის ინიციატივებისადმი, მაგრამ აღიარა, რომ ამ ნაბიჯებს კონფლიქტის შესაჩერებლად რეალური ეფექტურობა არ მოაქვს: **„ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ მშრალი ჟესტებია“.**

* * *

როგორც ყველა პატრიოტმა, ლეგენდარულმა უკრაინელმა ფეხბურთელმა ანდრეი შევჩენკომაც გადაწყვიტა საკუთარი წვლილი შეიტანოს თანამემამულეთა მომავლის ჩამოყალიბებაში და საამისოდ კონკრეტულ გზასაც მიაგნო.

საუბარია ლტოლვილებად ქცეულ უკრაინელ ბავშვებზე: **„ნისლიან ალბიონზე ყველა კლუბი გამოეხმაურა უკრაინაში დატრიალებულ ტრაგედიას. ისინი მზად არიან უკრაინელი ბავშვების მისაღებად პრემიერლიგის წარმომადგენელთა აკადემიებში სასწავლებლად და მალე მოეწყობა მოლაპარაკებები შესაბამის დოკუმენტთა გასაფორმებლად.**

ჩვენ შევეცდებით სათანადო ნებართვა ძალიან მალე მივიღოთ და საამისოდ კავშირზე ვართ ფეხბურთის ეროვნულ ფედერაციასთან, პროგრამა – მინიმუმი კი სპორტული ბანაკების გახსნაა. ასე რომ, აუცილებელია ყველაფერი ვიღონოთ, რათა უკრაინის ქალაქებიდან დევნილი ბავშვები უცხოეთში ვარჯიშობდნენ.“

* * *

როგორც ირკვევა, უეფასგან შერისხული ევროპის სუპერლიგის შექმნის იდეა საბოლოოდ მაინც არ ჩამკვდარა, რასაც „იუვენტუსის“ პრეზიდენტის **ანდრეა ანიელის** წარმოდგენილი ახალი პროექტი მოწმობს.

მის თანახმად, რომელიც სპორტულ-ეკონომიკურ ფორუმზე გაჟღერდა, ორდივიზიონიან ტურნირში 20 ბობოლა კლუბი ითამაშებს და გათვალისწინებულია როგორც დაბალ დივიზიონში დაქვეითება, ისე მაღალ ეშელონში აღზევება.

„შეგახსენებთ, რომ კოლექტიური შრომა 12 კლუბის მიერ ხელმოწერილი 120-გვერდიანი კონტრაქტით დაგვირგვინდა და იგი ჯერაც მოქმედი გახლავთ“.

რაც შეეხება უეფას პოზიციას, მისი თავკაცი ალექსანდრ რეფერინი ისევ შეუვალია: **„სუპერლიგაზე ლაპარაკი ნიშნავს, რომ არ ისაუბრო ფეხბურთზე. ამ იდეის ავტორებმა ჯერ პანდემიით ისარგებლეს, ახლა კი – ომით. ნუ იმედოვნებენ, რომ უეფას ტურნირებში ითამაშებენ“.**

* * *

ტრავმებით გატანჯულმა ნორვეგიელმა ბომბარდირმა **ერლინგ ჰალანდმა** ამ სეზონში „დორტმუნდის“ მაისურით გამართულ 14 შეხვედრაში 16 გოლი მაინც გაიტანა, ამიტომ არავინ უნდა გააკვირვოს მასზე გამოცხადებულმა ბობოლათა ნადირობამ.

ამ დღეებში კონკურენტებს ხელთათმანი „ბარსელონამ“ ესროლა – იგი ჭაბუკ ვიკინგს 5-წლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 195 მილიონ(!) ევროს სთავაზობს.

* * *

15-წლიანი სანაკრებო კარიერა ვალმოხდილმა დაასრულა სომხეთის ნაკრების კაპიტანმა **ჰენრიხ მხითარიანმა.**

„რომას“ ნახევარმცველმა 95 შეხვედრა ჩაატარა ქვეყნის მთავარ გუნდში. **„საამისოდ შესაფერისი მომენტია. მე ყველაფერი გავეცი ნაკრებისთვის, რაც შემეძლო“** – განაცხადა ჩვენს მეზობელთა აწ უკვე ყოფილმა ლიდერმა.

* * *

„პარი სენ ჟერმენისთვის“ ესპანურ „ბარსელონასთან“ შერცხვენის (4:0, 1:6) მე-5 წლისთავზე ფრანგული გრანდის ოცნება – ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი მოიგოს – „სანტიაგო ბერნაბეუზე“ დასამარდა – 1:3 (1:0).

არადა, ბრძოლაში ხანგრძლივი პაუზის შემდეგ დამრტყმელი ტრიოთი (მბაპე, მესი, ნეიმარი) ჩაბმული სტუმრებისთვის თამაში იდეალურად დაიწყო – კილიანმა რეაქტიული სისწრაფე აკრიფა და ჩვენს სტილში ახლო კუთხეში დარტყმით პარტნიორები დააწინაურა.

მე-60 წუთამდე „რეალი“ განწირული ჩანდა, მაგრამ დონარუმასა და მარკინიოსის უხეში შეცდომები „სამეფო კლუბსა“ და, განსაკუთრებით ჰეთ-თრიქის ავტორ **ბენზემას** მოულოდნელ მეკავშირედ მოევლინათ.

რაც შეეხება დღის მეორე წყვილს, „სიტის“ მეოთხედფინალის საგზური პორტუგალიაში 5:0 გასეირნების შედეგად ჰქონდა განაღდებული და ამიტომ **გვარდიოლამ** თავს დე ბრუინის, მაჰრეზისა და სხვა ლიდერთა დასვენების უფლება მისცა, ამიტომ „სპორტინგისთვის“ 0:0 წარმატებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომელმაც მორალური დაკმაყოფილების სტატუსი შეიძინა.

ასე რომ, ტურნირს ჯერჯერობით დასახელებულ დუეტთან ერთად „ლივერპული“ (2:0, 0:1 „ინტერთან“) და „ბაიერნი“ (1:1, 7:1 „ზალცბურგთან“) შემორჩნენ. უკანასკნელ შეხვედრაში მეზობელთა რბევას სათავე ლიგის ისტორიაში უსწრაფესი – 23-წუთიანი ჰეთ-თრიქით **ლევანდოვსკიმ** დაუდო. პლეი-ოფები მომავალ კვირაში გაგრძელდება.

* * *

„კრისტალბეთ“ ეროვნული ლიგა. III ტური. „დილა“ – „ბათუმი“ 2:1, „დინამო“ – „სიონი“ 1:0, „საბურთალო“ – „ტორპედო“ 2:0, „ლოკომოტივი“ – „გაგრა“ 0:2. თოვლის გამო გადაიდო „თელავისა“ და „სამგურალის“ მატჩი.

სატურნირო ვითარება.: „ბათუმი“, „თელავი“, „დინამო“, „გაგრა“, „საბურთალო“, „დილა“ – 6-6, „სამგურალი“, „ტორპედო“ – 3-3, „ლოკომოტივი“, „სიონი“ – 0 ქულა.

◎ უარი

ჯოკოვიჩი ინდიან უელსში არ ითამაშებს

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა ინდიან უელსში სათამაშოდ გამგზავრებისგან თავი შეიკავა.

ის მასტერს 1000-ის სერიის ყველაზე პოპულარული ტურნირის განაცხადში იყო, მაგრამ ამერიკაში არ წავა, რადგან იქ შესაშვებად ვაქცინაციის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებაა საჭირო, რაც მას არ სურს.

„დაავადების კონტროლის ცენტრმა დამიდასტურა, რომ რეგულაციების შეცვლას არ აპირებს, ამიტომ ამერიკაში არ შემიშვებენ და შესაბამისად, ვერც იქ თამაშს შევძლებ. იღბალს ვუსურვებ ყველას, ვინც ამ დიდებულ ტურნირებზე ითამაშებს“, – ამბობს ჯოკოვიჩი, ვინც იმავე მიზეზით მაიამიში თამაშსაც ვერ შეძლებს.

ვაქცინაციის სტატუსის არგამჟღავნების გამო, სერბი ჩოგბურთელი ამ სეზონის დასაწყისში ავსტრალიიდან გამოაძევეს. ამის გამო მან იქაურ ღია პირველობაზე თამაში ვერ შეძლო. სავარაუდო იყო, რომ ვერც როლან გაროსზე გამოსვლას შეძლებდა, მაგრამ საფრანგეთმა კოვიდშეზღუდვები მოხსნა და შესაბამისად, სერბი სათხინარო სლემზე თამაშს შეძლებს.

◎ სანქცია

ალარც ფინეთში...

ევროპის ოლიმპიური კომიტეტების (EOC) აღმასრულებელი საბჭო უკრაინაში რუსეთის შეჭრით შექმნილი მძიმე მდგომარეობის და ჰუმანიტარული კრიზისის გათვალისწინებით, სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და სრულად იზიარებს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) რეკომენდაციებს რუსეთისა და მისი მოკავშირე ბელარუსის სპორტსმენთათვის სანქციების დაწესების თაობაზე.

ვუოკატი-2022-ის საორგანიზაციო კომიტეტთან და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების შემდეგ, ასევე საერთაშორისო სპორტული ფედერაციების პოზიციის გათვალისწინებით, EOC-მა გამოაცხადა, რომ რუსი და ბელარუსი სპორტსმენები და ოფიციალური პირები ვეღარ შეძლებენ 2022 წლის ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში (EYOF) მონაწილეობას, რომელსაც ვუოკატიმ (ფინეთი) 20-25 მარტს უნდა უმასპინძლოს.

ახალგაზრდა სპორტსმენთა კეთილდღეობის დასაცავად, ასევე ღონისძიების ერთიანობისთვის, EOC მიიჩნევს, რომ რუსი და ბელარუსი ათლეტები არანაირი ფორმით არ უნდა მონაწილეობდნენ ვუოკატის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალში.

ახალი ბინები – დევნილებს

ყოფილ **სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები, ადმინისტრაციული დაპირების მქონე, ოროთახიანი ბინის მომლოდინე 43 დევნილი ოჯახი, ახალ საცხოვრებელ ფართს მიიღებს. ინფორმაციას ჯანდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახური ავრცელებს.**

მათივე ცნობით, დევნილთა სააგენტო აგრძელებს ყოფილ სანატორიუმ „ქართლში“ მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახების განსახლების პროცესს.

„როგორც დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს დირექტორმა ჯაბა სირბილაძემ, დევნილთა საინიციატივო ჯგუფთან მორიგ შეხვედრაზე განაცხადა, უახლოეს მომავალში ორ ოთახიანი ბინის კანდიდატი დევნილი ოჯახები ახალი საცხოვრებელი ფართებით სრულად დაკმაყოფილდებიან.

სააგენტოს დირექტორმა იძულებით გადაადგილებულ პირებს, მათი საცხოვრებლით უზრუნველყოფის მიზნით გაწეული სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ყოფილ სანატორიუმ „ქართლის“ შენობაში მცხოვრებ 40 დევნილ ოჯახს საცხოვრებელი ფართი უკვე გადაეცა. ოროთახიანი ბინის კანდიდატი 43 დევნილი ოჯახი ახალ ბინას თბილისში მიიღებს, ორი დევნილი ოჯახი კი რეგიონში განსახლდება“, – აღნიშნულია ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციაში,

ჯაბა სირბილაძის განმარტებით, საცხოვრებელი ფართებით დაკმაყოფილების პროცესი აქტიურ ფაზაშია, 2022 წელს კი ადმინისტრაციული დაპირების შესაბამისად, „ქართლში“ მცხოვრები ყველა დევნილი ოჯახი ეტაპობრივად განსახლდება.

კოლეგასა და მეგობარს, ცნობილ ჟურნალისტს, სამამულო სპორტის დიდ ქომაგს, თბილისის საპატიო მოქალაქეს დემიკო ლოლაძეს გულითადად ვუსამძიმრებთ დედის, ღვაწლმოსილი, კეთილშობილი ქალბატონის

თინა კანდელაკის

გარდაცვალების გამო

მურთაზ ხურცილავა, სიომა ბარძაია, ოთარ ჟითანავა, ზურაბ ხონელიძე, ლაურ ჯანაშია, სპარტაკ ძოგულია, გურამ გოგიაშვილი, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი, მამუკა ვაშაკიძე, გია გაბრიჭიძე, კახა ძორიძე.

ქართული პროდუქცია – ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე

9-10 მარტს, ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ ნიუ-იორკში, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაVinexpo America იმართება, სადაც ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ქართული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი 23 კომპანია მონაწილეობს.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცნობით, ეს არის ქართული ღვინის ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო წარდგენა COVID-19-ის პანდემიის დაწყების შემდეგ. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ, ლევან მეხუზლამ ღვინის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა.

„ბაზრების დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა ჩვენი მთავარი ამოცანაა. ამერიკის სტრატეგიულ ბაზარზე დასამკვიდრებლად, ქართველი მწარმოებლებისთვის ეს გამოფენა კიდევ ერთი საუკეთესო შესაძლებლობაა ახალი სავაჭრო პარტნიორებისა და მომხმარებლების მოსაძიებლად. ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდის მიზნით, სახელმწიფო მიმდინარე წელსაც აქტიურად გააგრძელებს სხვადასხვა ღონისძიების ორგანიზებას ამერიკის შეერთებულ შტატებში“, – აღნიშნა ლევან მეხუზლამ. აშშ ქართული ღვინის ერთ-ერთი სტრატეგიული ბაზარია, სადაც 2021 წელს დადასტურდა ექსპორტის ისტორიული მაქსიმუმი – 1 მილიონი ბოთლი ქართული ღვინო.

სსიპ ფ. თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 85 წლის ასაკში გარდაიცვალა ინსტიტუტის უხუცესი მეცნიერი, პირნათელი მამულიშვილი და მოქალაქე, ზვიად გამსახურდიას უახლოესი თანამებრძოლი, მისი ახალგაზრდული ჯგუფის უკანასკნელი მოჰიკანი

თეიმურაზ ცერცვაძე

და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

ნასამართლევმა სამი კაცი დაჭრა

პოლიციამ თბილისში სამი ადამიანის დაჭრის ფაქტზე ბრალდებული დააკავა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1985 წელს დაბადებული, წარსულში მრავალჯერ ნასამართლევი ლ.გ. თბილისში დააკავეს.

მას ბრალად ორი ან მეტი პირის მიმართ ჩადენილი მკვლელობის მცდელობა და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარება ედება. დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 9 მარტს, თბილისში, სოფიკო ჭიაურელის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით 3 პირი დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მკვლელობა ნორიოში

დამამძიმებელ **გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობასა და განზრახ მკვლელობის ფაქტზე, 1979 წელს დაბადებული დ.ყ. დააკავეს,** – ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა დ.ყ.-მ გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ ნორიოში, ურთიერთშელაპარაკებისას, ნაცნობი მამაკაცი – 1986 წელს დაბადებული ი.შ. ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა, ხოლო 1985 წელს დაბადებული ზ.ქ. დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. ზ.ქ. საავადმყოფოშია გადაყვანილი, სადაც შესაბამისი მკურნალობა უტარდება. სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე – მომხდარიდან რამდენიმე საათში დააკავეს“, – აღნიშნულია უწყების განცხადებაში.

ახალი გზები – მუხიანის აგარაკებზე

მუხიანი 2-ში, (მუხიანის აგარაკებზე) გლდანის რაიონის გამგეობა საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას განაგრძობს. ამჯერად, დასრულდა საზანო -ჟვანიას ქუჩის დამაკავშირებელი მონაკვეთის რეაბილიტაცია. აღნიშნულ ქუჩაზე აქამდე გრუნტის გზა იყო. ახლა კი მოეწყო სანიაღვრე ქსელი, გრუნტის დამჭერი კედელი და 1565 კვადრატულ მეტრამდე ფართობზე დაიგო ასფალტის საფარი, რისთვისაც გამგეობის ბიუჯეტიდან 140 019 ლარი დაიხარჯა.

დასრულებულ სამუშაოებს გლდანის რაიონის გამგებელი ლევან ნაროუშვილი საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატ კონსტანტინე ზარნაძესთან ერთად გაეცნო. გარდა ამისა, მუხიანის აგარაკებზე არაერთი ქუჩა მოწესრიგდა და სამუშაოები რამდენიმე ქუჩაზე პარალელურ რეჟიმში ახლაც მიმდინარეობს. კაპიტალურად წესრიგდება იაკობის, გრემის ქუჩები. უახლოეს მომავალში კი დაიწყება გამარჯვების ქუჩაზე წყალარინების ქსელის მოწყობის სამუშაოები.

ი. ჟორდანიას და ა. ხომასურიძის რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტი აგრძელებს მუშაობას მისამართზე- თევდორე მღვდლის,13 ა,VII სართული. ტელ.224 00 99; 224 00 98.

მალე გაიხსნება ქირურგიული და ინ ვიტრო განყოფილებები. გისურვებთ ჯანმრთელობას!

ლანჩხუთში კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება

შპს „საძართველოს მელიორაცია“, ქალაქ ლანჩხუთში, მდინარე ორაგვისღელის მიმდებარე ტერიტორიაზე რიონის მარცხენა სანაპიროს დამშრობი მასივის მოწესრიგების სამუშაოებს ატარებს. ხე-მცენარეებისა და ნატანი მასისგან 3,2 კილომეტრი სიგრძის კოლექტორული და შემკრები არხები იწმინდება.

სამუშაოების დასრულების შემდეგ, არხში წყლის გადინება შეუფერხებლად მოხდება, რაც 15 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობზე სადრენაჟე მომსახურებას უზრუნველყოფს და აგროწარმოების შესაძლებლობას გაზრდის.

დამშრობ მასივზე მიმდინარე სამუშაოები დასრულების ეტაპზეა.

ყოველგვარი რეკლამა გაზეთს ჰაერივით სჭირდება!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 103 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

◎ ᲞᲝᲔᲢᲘᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲚᲔᲥᲡᲘ

ᲗᲐᲕᲛᲝᲡᲐᲬᲠᲝᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ



ᲨᲝᲗᲐ ᲖᲝᲘᲫᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ

გამორჩეული სონეტი, სიტყვაში სიტყვის ჩასმა,
წილნაყარია ყოველთვის ნაღდი პოეტის წვასთან.
თეთრი თმა. სახე-ნათელი. ტანზე სამოსი თეთრი,
თავმოსაწონი ქართველი-მართლა ნამდვილად დენდი.
აჭარის მთებზე ნისლებმა აიფელიკა თავი,
ლექსია შენი ღირსება, შენი ბრძოლაც და ზავიც.
მუსიკალური რითმები. დისონანსები. ხიბლი.
დამძიმებული ფიქრებით ტექსტი გარეთ და შიგნით.
შიგნიდან მიმზერს ოთოლთა-კლდე, ამოზრდილი ციხედ
და შემოდგომის ფოთოლი ბებერ საწუხარს მიმხელს.
შენ შენი გქონდა ხმა-ტონი, შენი „ნაღმი“ და „დენთი“
ფაქიზი სმენის პატრონი, წერდი,რა კარგად წერდი.
ბათუმის ქუჩებს დავყვები და უშენობას ვგლოვობ,
მინდა, ტკივილის გამხელით ცოტა ნუგეში ვპოვო.
ძმა მყავდი ფიცვერცხლ ნაჭამი, ძმაზეც უფრორე მეტი,
რა დღე, რა წუთი, რა წამი, უერთმანეთოდ ჩვენთვის.
მიმიძღვის შენი ხატება და გულნატკენი მივალ,
ცრემლს ცრემლი მიემატება, ღაწვზე გადგება მძივად
ქათქათა ქალაქს უმღერის მართლა ქათქათა ქარი,
სიზმარში გნახე წუხელის, შუქი გემოსა მთვარის.
ხარობდი ჩემი დანახვით-წუთის აღდგენას ვცდილობ –
შუბლზე გეფინა ბალახი, როგორც ძმრიანი ტილო.
თეთრი თმა. სახე – ნათელი. ტანზე სამოსი თეთრი,
თავმოსაწონი ქართველი, მართლა ნამდვილად დენდი.

ᲖᲐᲐᲚ ᲔᲑᲐᲜᲝᲘᲫᲔ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ
„ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲡ ᲨᲔᲕᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲒᲐᲖᲔᲗᲡ ᲐᲥᲕᲡ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ www.sakresp.ge

ᲗᲥᲕᲔᲜ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ ᲒᲔᲛᲚᲔᲕᲐᲗ, ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲔᲪᲜᲝᲗ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ, ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲔᲠᲝᲗ ᲘᲒᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲜᲣᲚᲐᲓ, ᲒᲐᲜᲐᲗᲐᲕᲡᲝᲗ ᲗᲥᲕᲔᲜᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲠᲕᲔᲚᲘ ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲑᲐᲜᲔᲠᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲝ ᲡᲘᲕᲠᲪᲔ ᲒᲔᲚᲘᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲡ!

ᲘᲙᲘᲗᲮᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“, ᲒᲐᲘᲫᲚᲘᲔᲠᲔᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲘᲡ ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲔᲓᲘ!

103 ᲬᲚᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗᲐᲐ!

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲐ: №GE19TB7601536020100009.
(ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ“ – ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ).

◎ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ

ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲓᲘᲓᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ I ᲙᲕᲘᲠᲘᲐᲙᲔ

13 ᲛᲐᲠᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲝᲪᲘᲥᲣᲚᲝ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲝᲑᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲖᲔᲘᲛᲡ, ᲔᲡ ᲙᲘ ᲓᲘᲓᲛᲐᲠᲮᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲮᲓᲔᲑᲐ – ᲔᲡ ᲮᲐᲢᲗᲐ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ!

...ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲠᲝᲛ VIII ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲨᲘ ᲑᲘᲖᲐᲜᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ �გᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐ-ᲒᲐᲜᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲘᲡ ᲟᲐᲛᲡ, ᲛᲘᲡ ᲬᲘᲐᲚᲨᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲘᲨᲕᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲔᲠᲔᲡᲘ – ᲮᲐᲢᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲝᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ ᲛᲫᲕᲘᲜᲕᲐᲠᲔᲑᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲠᲐᲕᲐᲚᲘ ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲐᲢᲔᲮᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲡ. ᲡᲐᲒᲣᲚᲘᲡᲮᲛᲝᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲔᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲞᲘᲠᲘᲡᲠᲘᲗᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲔ, ᲘᲝᲐᲜᲔ ᲓᲐᲛᲐᲡᲙᲔᲚᲛᲐ ᲮᲐᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲗᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲪᲔᲛᲐᲖᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲐ ᲩᲐᲛᲝᲐᲧᲐᲚᲘᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲛᲝᲙᲚᲔᲓ ᲐᲡᲔ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ �გᲐᲓᲛᲝᲘᲪᲔᲡ: ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲮᲐᲢᲘᲐ; ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲔᲑᲐ: ᲗᲐᲕᲐᲓ ᲙᲐᲪᲘ ᲮᲐᲢᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐ ᲦᲛᲠᲗᲘᲡᲐ. ᲧᲝᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲒᲐᲜᲘ ᲮᲐᲢᲘᲐ ᲘᲓᲔᲘᲡᲐ. ᲮᲐᲢᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲢᲝᲢᲘᲞᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲚᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ.



ᲗᲣᲙᲘ ᲮᲐᲢᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲜᲘ ᲡᲣᲚᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲘᲡ ᲐᲛ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲔᲜ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲛᲐᲜᲘᲥᲔᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲧᲝᲤᲘᲚᲐᲜ, ᲠᲝᲛᲔᲚᲜᲘᲪ ᲦᲛᲔᲠᲗᲗᲐᲜ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ ᲖᲘᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲠᲘᲪᲮᲐᲕᲓᲜᲔᲜ. ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲚᲛᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲡ ᲛᲝᲬᲛᲝᲑᲡ ᲮᲘᲚᲣᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲗ – ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲐᲡᲔᲗᲘᲐ ᲛᲐᲓᲚᲓᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ �გᲐᲓᲛᲝᲡᲕᲚᲐ ᲛᲐᲪᲮᲝᲕᲠᲘᲡ ᲡᲐᲤᲚᲐᲕᲖᲔ, ᲜᲐᲗᲚᲘᲡᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ – ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ, ᲤᲔᲠᲘᲪᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲖᲔ – ᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ ᲛᲝᲬᲛᲔᲜᲓᲘᲚ ᲪᲐᲖᲔ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲦᲠᲣᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲗᲐᲑᲝᲠᲘᲡ ᲛᲗᲐᲖᲔ!

ᲒᲘᲣᲚᲘ ᲚᲘᲞᲐᲠᲗᲘᲐ

ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲐᲦᲐᲠ ᲰᲒᲐᲕᲡ...

„ᲛᲢᲔᲠᲘ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲣᲑᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲐᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲮᲛᲔᲚᲔᲗᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲰᲐᲔᲠᲝ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ, ᲒᲐᲜᲐᲓᲒᲣᲠᲓᲐ 280-ᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲐᲮᲚᲘ, 26 ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ 23 ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ. ᲐᲠᲘᲡ ᲛᲡᲮᲕᲔᲠᲞᲚᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲘᲐᲜ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲨᲘ“, – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠᲘ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ �გᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲗ, ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲥᲣᲩᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲐᲣᲤᲔᲤᲘᲥᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲩᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲔᲜ, ᲐᲠ ᲨᲔᲔᲮᲝᲜ ᲡᲐᲔᲭᲕᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲡ. **„ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲐ ᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲡᲐᲓᲦᲔᲚᲐᲛᲘᲡᲝ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲗ ᲓᲐ ᲘᲪᲐᲕᲡ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲡ ᲫᲐᲠᲪᲕᲘᲡᲒᲐᲜ, ᲥᲣᲠᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲔᲑᲘᲡ�გᲐᲜ“,** – ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲨᲘ.

ᲐᲛᲐᲡ ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘᲗ ᲐᲠ ᲡᲬᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ ᲛᲐᲠᲘᲣ�პᲝᲚᲨᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲗᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 3 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐᲘᲚᲣᲞᲐ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ 1 ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲐ. ᲠᲝ�გᲝᲠᲪ BBC ᲬᲔᲠᲡ, ᲐᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐᲡ ᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲡ.

ᲛᲐᲗᲘᲕᲔ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲓᲐᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 17 ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘ. ᲠᲣᲡᲛᲐ ᲝᲙᲣ�პᲐᲜᲢᲔᲑᲛᲐ ᲡᲐᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲖᲔ ᲐᲕᲘᲐᲘᲔᲠᲘᲨᲘ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ ᲛᲘᲘᲢᲐᲜᲔᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲕᲐᲟᲐ ᲤᲨᲐᲕᲔᲚᲐᲡ №48

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ:
�გᲣᲠᲐᲛ �გᲝ�გᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲡᲘ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;
ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
514 33-33-24

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ „ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔ – ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 53-76-16; 599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ᲢᲔᲚ: 599 79-76-79
ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲨᲘ“
Ე. ᲒᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ, 14 ᲛᲐᲠᲗᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 3.4019; ᲔᲕᲠᲝ - 3.7360;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 4.4806;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 2.4396; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.2325;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 2.0075;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.6350.

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 11 ᲛᲐᲠᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ -2, ᲓᲦᲔ +6
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -5, ᲓᲦᲔ +6
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:
ᲑᲐᲠᲘ - ᲦᲐᲛᲔ -1, ᲓᲦᲔ +7
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ - ᲦᲐᲛᲔ -4, ᲓᲦᲔ +4
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: ᲦᲐᲛᲔ +1, ᲓᲦᲔ +4

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@mail.ru
ᲓᲐ sakresp@top.ge
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge